1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

19 აპრილი, 2024

№ 9 [2251]

რექტორი თსუ-ს ფაკულტეტების სტუდენტებს შეხვდა

შეხვედრაზე იმსჯელეს სტუდენტების ჩართულობით განსახორციელებელ საკითხებზე

6 გვ.

ახალი ამბები

თსუ-ში ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე 200-მდე ვაკანსია გამოცხადდება



2 გვ.

რა ნაშრომზე მუშაობს დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა?

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი მზადდება თსუ-ს ქართული ენის ინსტიტუტში

7 გვ.

აბიტურიენტების № 1 არჩევანი კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) უახლესი ინფორმაციით, თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ყველაზე მეტი- 49 929 არჩევანი გაკეთდა. აქედან, 12 ათასამდე აბიტურიენტის პირველი არჩევანია თსუ! ტრადიციას არ ვღალატობთ! თსუ გელით!

2 გვ.

„ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანების ციფრულ კორპუსზე

4 გვ.

თსუ საკალათბურთო გუნდმა უკვე მეორედ საქართველოს თასი მოიპოვა

თსუ-ს საკალათბურთო გუნდმა ფინალში გორის „ივერიონი“ 92:81 დაამარცხა და ზედიზედ მეორედ საქართველოს თასი მოიპოვა!

16 გვ.

სტუდენტური ფურცელი

5-12 გვ.

საერთაშორისო კონფერენცია - „მონიტორინგი ელექტროსადგურების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისათვის“

3 გვ.

ღონისძიება, რომელიც ქართულ სამიწათმოქმედო კულტურას მიეძღვნა

ეთნოლოგიის დღის აღსანიშნავი კონფერენცია

3 გვ.

თსუ-ს სტუდენტური გუნდი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრის 32 საუკეთესო გუნდს შორის დასახელდა

12 გვ.

თსუ-ში ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე 200-მდე ვაკანსია გამოცხადდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობა 150-200 ასისტენტით გაიზრდება. ამ ეტაპზე გაანალიზებულია არსებული მონაცემები და მიმდინარეობს შეთანხმება ფაკულტეტის წარმომადგენლების ჩართულობით. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით განხილვა შედგა რექტორის საბჭოს ფარგლებშიც. ცვლილება თსუ-ს სტრატეგიული განვითარების პოლიტიკის ნაწილია.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მიხედვით ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე შესაძლებელია არჩეულ იქნას დოქტორანტი 4 წლის ვადით. მის კომპეტენციაში შედის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით სასემინარო და კვლევითი სამუშაოების განხორციელება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში (ფაკულტეტზე) მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში. შრომის ანაზღაურება და სხვა პირობები განისაზღვრება საერთო შეჯერებული პოზიციის საფუძველზე. მიმდინარეობს მსჯელობა და სავარაუდოა სხვადასხვა კატეგორიის ასისტენტის პოზიციის არსებობა, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი იქნება შესასრულებელი საათების (დატვირთვის) რაოდენობა. სავარაუდოდ, თსუ-ში ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსები მიმდინარე წელსვე გამოცხადდება.

> **„აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდას სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებით და დადებითად აისახება არაერთ სარეიტინგო სისტემაში უნივერსიტეტის პოზიციონირებაზე“**

ზემოთ აღნიშნულ სიახლესა და მის მნიშვნელობაზე თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ფოთოლაშვილი** გვესაუბრა.

შოთა ფოთოლაშვილი

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ზრდა კომპლექსურად რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგამდე მიგვიყვანს: თსუ-ს, როგორც აკადემიური დაწესებულების, მდგრადი განვითარების კონტექსტში, გაიზრდება აკადემიური პერსონალის წილი საგანმანათლებლო პროცესში (როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად). აღნიშნული პოლიტიკით ასისტენტის პოზიციის დაკავება შეეძლებათ დოქტორანტებს, რომლებიც, ამ ეტაპზე, მათ შორის მოწვეული პერსონალის სტატუსით საქმიანობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მათი რაოდენობა 350-მდე აღწევს. ჩვენი მიზანია ამ კადრების შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათთვის უწყვეტი კარიერული ზრდის უზრუნველყოფა. ცხადია, ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ასისტენტის აკადემიური პოზიციის დამატებით და მომავალში აუცილებლად დადგება სხვა აკადემიური პოზიციების დამატების საკითხიც (ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი). გარდა ამისა, ცვლილება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის ინსტიტუციური კავშირის გამყარებას; ეს მოგვცემს შესაძლებლობას გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგების უკეთ შეფასებისა და პროგნოზირების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ განვითარებას.

ვფიქრობ, აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდას სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებით და დადებითად აისახება არაერთ სარეიტინგო სისტემაში უნივერსიტეტის პოზიციონირებაზე.

გარდა ამისა, მიმდინარე წელი უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი წელია, რადგან 2024 წელს უნივერსიტეტი გაივლის (რე)ავტორიზაციის პროცესს. ხსენებული პროცესის ფარგლებში უნივერსიტეტს წარდგენილი აქვს თვითშეფასების ანგარიში და ველით მაძიებლად ცნობას, ხოლო ზაფხულის დასაწყისში – ავტორიზაციის ექსპერტებს...“, – განმარტავს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ფოთოლაშვილი.

ქრონიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გერმანის ფედერაციული რესპუბლიკის ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორთან ია თიკანაძესთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ისტორიასთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტების მომზადებას; პროექტის „ახალგაზრდული მოძრაობები საქართველოში: 1920-იანი წლები“ ფარგლებში წიგნი-ალბომის გამოცემას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერების სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების გერმანულ არქივებში მოძიება და გამოქვეყნება. მემორანდუმის მიზანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება; ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ქართული ახალგაზრდული ორგანიზაციების შესწავლისკენ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ბერგლიოტ ჰოვლანდთან სამუშაო შეხვედრა გამართა. მხარეებმა თსუ-სა და ნორვეგიის სამეფოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის არსებული თანამშრომლობის გაფართოებაზე, ქართველი და ნორვეგიელი მკვლევრების ერთობლივ საქმიანობაზე, უნივერსიტეტში არსებული სკანდინავისტიკის ცენტრის განვითარებასა და ნორვეგიული ენის სწავლების ხელშეწყობაზე ისაუბრეს. რექტორის ჯაბა სამუშიას ინფორმაციით, თსუ-ში ნორვეგიული ენა დაახლოებით 30 წელია ისწავლება და სკანდინავისტიკის მიმართულებაზე ერთ-ერთი დომინანტია. რექტორის ინიციატივით დაიგეგმა ნორვეგიის სამეფოს ელჩის საჯარო ლექცია — „ევროპული ინტეგრაცია“, რომელსაც ბერგლიოტ ჰოვლანდი თსუ-ს სტუდენტებისთვის უახლოეს მომავალში წაიკითხავს. ასევე, საელჩოსთან თანამშრომლობით, გამოიცემა ნორვეგიის ისტორიის ქართულენოვანი და საქართველოს ისტორიის წიგნები ნორვეგიულ ენაზე.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ კანზას სითის მისურის უნივერსიტეტთან (აშშ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. თსუ-სა და კანზას სითის მისურის უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული მემორანდუმი საგანმანათლებლო და კვლევით თანამშრომლობას ითვალისწინებს. თანამშრომლობის ფარგლებში, მისურის უნივერსიტეტში თსუ-ს სტუდენტებისთვის გამოყენებული იქნება სწავლების საფასურისა და სხვა მოსაკრებლების სპეციალური განაკვეთები და სტუდენტთა მიღების წინაპირობების საგამონაკლისო წესი. ღონისძიებას კანზას სითის მისურის უნივერსიტეტის (UMKC) სამართლის სკოლის პროფესორი თომას ნანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, UMKC-ის სამართლის სკოლის Juris Doctor პროგრამის კანდიდატი და თანამშრომლობის ინიციატორი ნიკა წიკლაური, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. მემორანდუმი ითვალისწინებს ერთობლივი კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას სწავლების სხვადასხვა საფეხურზე; სასერტიფიკატო პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას; ლექციებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მეცნიერ-თანამშრომლების და კურსდამთავრებულების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლას; ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და მეცნიერ-თანამშრომლების გაცვლას სასწავლო და კვლევითი მიზნით.

* * *

2-5 აპრილს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის — „ქართული მწერლობა მსოფლიოს მასშტაბით“ — ფარგლებში, თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს პროფესორი ირმა რატიანი და ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი გაგა ლომიძე ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიაში იმყოფებოდნენ, სადაც ქართული მწერლობის შესახებ საჯარო ლექციებით წარსდგნენ. მათთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნინო მინდიაშვილმა. ქართველმა მეცნიერებმა წარმოადგინეს მოხსენებები შემდეგი დასახელებებით: პოსტმოდერნიზმის დაფუძნება და განვითარება ქართულ ლიტერატურაში (ირმა რატიანი); გადადგილების (ემიგრაციის) ტრავმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (ნინო მინდიაშვილი); ქართული მოდერნიზმის პოეტიკა და პოლიტიკა (გაგა ლომიძე).

საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის ფორმატში შედგა სამეცნიერო დიალოგი მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით და, ამავე დროს, შემუშავდა მომავალი თანამშრომლობის სტრატეგია/გეგმა.

ვიზიტის ფარგლებში ქართველი მეცნიერები ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან ერთად ეს-ტუმრნენ ბაჩკოვოს (იმავე პეტრიწონის) ქართულ მონასტერს, შეხვედრა გამართეს ბაჩკოვოს მონასტრის იღუმენთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ქართული ენის კვირეული გამოფენით გაიხსნა

ნატო ობოლაძე

ექსპოზიციაზე თსუ-ს ბიბლიოთეკაში დაცული, ქართული ენის მეცნიერული შესწავლისადმი მიძღვნილი უნიკალური ხელნაწერები და გამოცემები წარმოადგინეს. გამოიფინა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ მომზადებული პოსტერები, სადაც 1978 წლის 14 აპრილს მშობლიური ენის დასაცავად დაწყებული პროტესტი საარქივო ფოტო-დოკუმენტური მასალებით ქრონოლოგიურად არის აღდგენილი და კომპლექსურად მოიცავს პროტესტის ამსახველ ფოტოებს. გამოფენა მოიცავდა, ასევე, საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და უმაღლეს საბჭოში ფოსტით გაგზავნილ სტუდენტების ხელმოწერებს, უცხოურ პრესაში ასახულ ინფორმაციას, უშუალოდ უნივერსიტეტში და აჭარასა თუ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს, დემონსტრაციის მონაწილეთა მოგონებებსა და მოქალაქეთა საპროტესტო წერილებს.

„სწორედ უნივერსიტეტის ეზოში დაიწყო ის დიდი მოძრაობა 1978 წელს, რომელიც ქართული ენის დაცვას ითვალისწინებდა. საქართველოს უახლესი ისტორია სწორედ ამ თარიღებზე არის დაფუძნებული. ქართველებმა დაიცვეს უპირველესი სახელმწიფოებრივი სიმბოლო – ქართული ენა. ამ თარიღის აღნიშვნით ჩვენ კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს იმ ეპოქის მოვლენებს, რომელთაც საფუძველი დაუდეს შემდგომში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნისას.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ერთად სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა და თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა გახსნეს.

„14 აპრილის მოვლენების გახსენებისას გასათვალისწინებელია, რომ იმ თაობას კარგად ახსოვდა 1956 წლის სისხლიანი მოვლენები და ესმოდა ის საფრთხეები, რაც პროტესტს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მშობლების თაობამ შეძლო და მშობლიური ენა შეგვინარჩუნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის საბედისწერო მუხლი, ფაქტობრივად, ქართველობას დააკარგვინებდა ჩვენს ქვეყანას, გარკვეული პერიოდით მაინც“, – აღნიშნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა.

„გამოფენაზე წარმოდგენილია ძალიან ძვირფასი, უძველესი წიგნები და მნიშვნელოვანი კვლევები ქართულ ენათმეცნიერებაში, რომლებიც თსუ-ს ბიბლიოთეკის საცავებში ინახება, მათ შორის, უმნიშვნელოვანესია: 1629-1670 წლებში რომში დაბეჭდილი „ქართული ენა და გრამატიკა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული პირველი ორი დისერტაცია – „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმნებში“, რისთვისაც, 1920 წელს, აკაკი შანიძეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა და, ასევე, წარმოდგენილია 1924 წლის არნოლდ ჩიქობავას დისერტაცია თემაზე „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, – განაცხადა თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსშია განთავსებული.

ღონისძიება, რომელიც ქართულ სამიწათმოქმედო კულტურას მიეძღვნა

ნინო ჯაჯულია

თსუ-ში 15 და 16 აპრილს ქართული ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიება ეხებოდა ქართულ სამიწათმოქმედო კულტურას და ქართული ხორბლის ჯიშების მიმართ ცნობიერების ამაღლებას. ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ს ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, თსუ-ს მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ღონისძიებას 16 ევროპული ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელი დაესწრო. მოწვეულები იყვნენ მეცნიერები და მკვლევრები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, სოფლის მეურნეობის აკადემიიდან და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან. უნივერსიტეტს ეწვივნენ ქართველები ფერეიდნიდან, ისტორიული ჰერეთიდან და ტაო-კლარჯეთიდან.

ღონისძიება თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გახსნა: „ქართული ხორბლის ჯიშები ერთ-ერთი გამორჩეულია მსოფლიოში. ჯერ კიდევ ძვ.წ VI-V ათასწლეულით თარიღდება ხორბლის პირველი ნიმუშები, რომლებიც მარნეულთან ახლოს, ქვემო ქართლში აღმოაჩინეს. ეს არის უნიკალური აღმოჩენა, რომელიც მიუთითებს, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო იყო და რჩება ხორბლის მოყვანის და წარმოების კერად.

ერთ-ერთ პირველ ქართულ სამწერლობო ძეგლში „შუშანიკის წამება“ პურობა დაკავშირებულია ხორბალთან, პურთან და გასაგებია, რომ ხორბალი დომინანტი იყო საკვებწარმოებაში“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

„ჩვენი მიზანია, რომ საზოგადოებრიობას კიდევ ერთხელ შევახსენოთ ქართველთა უდიდესი წვლილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში, კერძოდ ჩვენი სამიწათმოქმედო გამოცდილება. საქართველოში ენდემური ჯიშის ქართული მემინდვრეობის არაერთი ელემენტი მოგვეპოვება, რომელსაც დაცვა და პოპულარიზაცია სჭირდება“, – განაცხადა ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ს პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა.

თსუ-ს ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა აუდიტორიის წინაშე ისაუბრა საქართველოში ღვინისა და ხორბლის მოყვანისა და რიტუალური დატვირთვის ხანგრძლივი ისტორიის შესახებ.

თსუ-ს მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა XVI-XVIII საუკუნით დათარიღებული ძველი საბუთები და ეტრატები, ფოტოები და ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, მარცვლეულის უნიკალური ჯიშები და ეთნოგრაფიული მასალა, ასევე ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები და წიგნები. ექსპონატები მოგვითხრობენ მარცვლეული კულტურის – რიტუალებისა და გამოყენების იმ უწყვეტი ტრადიციების შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოში.

მეორე დღეს გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ქართული ენდემური ჯიშების მარცვლეულ კულტურას ეძღვნებოდა: „ქართველთა ეროვნულ – კულტურული იდენტობის მახასიათებელი – ხორბალი წერილობით კულტურაში“ – პროფესორი ლია ახალაძე; „ხორბალი და პური თანამედროვე ქართულ ტრადიციულ სარიტუალო პრაქტიკაში“ – პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი; „ერთი აგრარული დღეობის შესახებ კახეთში“ – პროფესორი თეიმურაზ გვიმრაძე; „ქართული ენდემური ხორბლის გავრცელების არეალი თანამედროვე საქართველოში“ – დოქტ. ნოდარ შოშიტაშვილი.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა დისკუსია თემაზე: „ქართული ხორბლის, მის მოყვანასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სულიერი და სოციალური კულტურის ცნობადობის გაზრდა“.

ვინაიდან 12 და 13 აპრილს საქართველოში ტრადიციულად ეთნოლოგიის დღე აღინიშნება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველ წელს აჯილდოებს განსაკუთრებული წვლილის მქონე ადამიანებს ამ სფეროში და წელსაც ორ ადამიანს – ინესა მაისაიას და ეკა ჭიკაძე-ვეშაპიძეს, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს ქართული კულტურის გადარჩენისა და განვითარების საქმეში, რექტორმა გადასცა მადლობის წერილი საჩუქართან ერთად.

ელენე გამიაშვილი,

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

საერთაშორისო კონფერენცია - „მონიტორინგი ელექტროსადგურების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისათვის“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კარლსრუეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა (KIT) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეომეცნიერებებისა და ჰიდრავლიკური ინჟინერიის დარგების წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით თსუ-ში გერმანულ-ქართული პროექტის (DAMAST) ფარგლებში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე „მონიტორინგი ელექტროსადგურების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისათვის“ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები შეიკრიბნენ, რომლებიც ენგურის მაღლივ კაშხალს და მის მიმდებარე ტერიტორიას თანამედროვე მონიტორინგის ტექნოლოგიების გამოყენებით იკვლევენ. განიხილავენ DAMAST- ის პროექტების დროს განხორციელებულ კვლევით აქტივობებს და სამომავლო საკითხებს, რომლებიც დაისახა კაშხლების, როგორც უსაფრთხო, ეროვნული ენერგიის წყაროს გრძელვადიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და კავკასიაში ენერგიების გარდაქმნის ხელშესაწყობად. დღეს-დღეობით კვლევებმა აჩვენა, რომ არსებულ პირობებში ენგურჰესის მოქმედების ვადა ამოიწურება 28-32 წელიწადში, რის შედეგადაც საქართველო კარგავს ელექტროენერგიის 40 %-ს. ამ გათვლებში არ არის გათვალისწინებული გლობალური

დათბობა და კლიმატური ცვლილებები.

ღონისძიებას თსუ-ს რექტორის მოადგილე კახაბერ ჭეიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოში გერმანიის საელჩოს, თბილისში BMBF-Projektträger-ის წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები და დარგის სპეციალისტები ესწრებოდნენ.

თსუ-ში მიმდინარეობს მუშაობა ვრცელ ქართულ-ინგლისურ ონლაინ თემატურ ლექსიკონზე

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუშაობა ვრცელ ქართულ-ინგლისურ ონლაინ თემატურ ლექსიკონზე. თსუ-ს თანამშრომლები, რომლებიც ჩართულნი არიან მის შექმნაში, გვიზიარებენ აზრს მისი მნიშვნელობისა და მუშაობის პროცესის შესახებ.

ლია ქაროსანიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე: „2020 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შესაქმნელად. ლექსიკონზე მუშაობენ თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების პროფესორები. ამ ერთობლივ პროექტს სიმბოლურად „საბასეული“ ვუწოდეთ, რადგან „სიტყვის კონა“ არის ქართული ენის ცნებებად დამუშავების პირველი ცდა.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენის სალექსიკონო ფონდი კარგადაა შესწავლილი, თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ენის მასალაც მისამატებელია და ამ მხრივ მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამ უნიკალურ მასალებს ეყრდნობა ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონი. თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ამ უიშვიათესი ღირებულების მასალის ინგლისური შესატყვისების დადგენა წინ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ასახული ქართული კულტურის სრულად წარმოსაჩენად, თანამედროვე ციფრულ სამყაროში ქართული ენის ადგილის დასამკვიდრებლად“.

მანანა რუსიეშვილი, პროფესორი, თსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი: „როგორც კათედრის ხელმძღვანელს განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამივე საგანმანათლებო საფეხურის სტუდენტები ლექსიკონის მასალაზე მუშაობისას ეუფლებიან თარგმნითი ლექსიკოგრაფიის არა მხოლოდ პრაქტიკულ სამუშაოს, არამედ თავიდანვე ჩაერთვებიან სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, რადგანაც თითოეული სიტყვის მოძებნა და დამატება გარკვეული კვლევის საფუძველზე ხდება. სტუდენტებთან მუშაობენ ჩვენი კათედრის ასისტენტ-პროფესორი მარიამ ქებურია და კათედრის დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი მარინე მახათაძე“.

მარიამ ქებურია, თსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი: „აღსანიშნავია, რომ ამ და სხვა პროექტში მონაწილეობის მისაღებად მიმდინარეობს ხოლმე სტუდენტების შერჩევა. სტუდენტები ერთვებიან ლექსიკოგრაფიული კვლევის პროცესში საკუთარი ინტერესის, ცნობისმოყვარეობის გამო – მათი ჩარულობა არ უკავშირდება კრედიტების ზრდას ან რაიმე სხვა დამატებით ფორმალურ უპირატესობას. ეს გახლავთ სრულად ინტერესზე და სამეცნიერო ცნობისმოყვარეობაზე დაფუძნებული კვლევისა და სწავლის პროცესი.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი კათედრის აქტიური თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან. ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე ხშირია მეცნიერების მოხსენებები, კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების გამოცდილების გაზიარება, მათი პროფესიული მიღწევების პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის. ცოდნის გაზიარების ეს დიალოგი (მუდმივმოქმედი სემინარები, მოწვეული მომხსენებლების საჯარო ლექციები, მასტერკლასები) ერთმანეთთან აახლოებს სწავლებისა და კვლევის პროცესს და უფრო შედეგიანს ხდის ჩვენი პროფესორების ძალისხმევას“.

ლელა დუმბაძე, მთარგმნელი, თსუ-ს უცხო ენათა ცენტრის ინგლისური ენის მასწავლებელი: „ქართულ სინამდვილეში იყო შემთხვევა 80-იანი წლების დასაწყისში, როცა დიდმა ქართველმა ენათმეცნიერმა ბიძინა ფოჩხუამ შექმნა და გამოსცა „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ პირველი ნაწილი. საუბედუროდ, მისი მეორე ნაწილი, უკვე დასრულებული და სტამბაში დასაბეჭდად მიტანილი, უკვალოდ დაიკარგა, მისი ავტორი კი ამის შემდეგ სულ მალე გარდაიცვალა კიდეც...

ვის და რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ამ სახის ლექსიკონებმა? ჩემი აზრით, ეს იქნება უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა როგორც მთარგმნელებისთვის თუ უცხო ენის შემსწავლელთათვის, ისე, ზოგადად, ქართული ენით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის, რადგან ლექსიკონი, გარდა ორენოვანი არჩევანისა, საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ზოგადად გავიაზროთ ქართული ენის, მისი ლექსიკის სიმდიდრე და სილამაზე და, მეორე მხრივ, უკეთ აღვიქვათ და გამოვიყენოთ ამ ენის განუზომელი საშუალებები.

ინგლისელებს მდიდარი გამოცდილება აქვთ ამ საქმეში. ამ სახის ლექსიკონებს ისინი „კონცეპტუალურს“, „იდეოგრაფიულს“ ან „იდეოლოგიურს“ უწოდებენ. ეს არის ლექსიკონები, სადაც გადამწყვეტია სიტყვების დაჯგუფების პრინციპი მათი სემანტიკური ნათესაობის შესაბამისად და არა ანბანური თანმიმდევრობა.

მე, როგორც მთარგმნელს, განსაკუთრებით მახარებს ეს წამოწყება, რადგან თარგმნისას უამრავი მუშაობა მიწევს სინონიმურ ჯგუფებში ზუსტი შესატყვისის მოსაძიებლად, ხოლო ამგვარი ლექსიკონის ხელმისაწვდომობა მისწრება იქნება როგორც მთარგმნელთა ფართო წრისთვის, ისე, ზოგადად, ენის შესწავლით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის“.

მარინე მახათაძე, თსუ-ს მოწვეული მასწავლებელი, დოქტორანტი: „ამ დიდ ლექსიკონს, ბაზას, გარდა იმ პრაქტიკული დანიშნულებისა, რაც ზოგადად ორენოვან თარგმნით ლექსიკონებს აქვთ, აქვს აგრეთვე კულტურული არტეფაქტის ღირებულებაც, რომელიც ენობრივი ინფორმაციის (ქართულიდან ინგლისურად) მიმოქცევისათვის არის მნიშვნელოვანი. ქართული ტერმინოლოგიის წარმოჩენის მხრივაც ღირებული იქნება ეს ლექსიკონი.

აღმოვაჩინეთ, რომ „დიუნს“ ზუსტი ქართული ეკვივალენტი „სილახვავი“ აქვს, „ფიონს“ –„ცეცხლაქარი“, „ფლიუგერის“ პარალელური ქართული შესატყვისი „აფქიოა“. ისეთი მდიდარი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენისათვის, როგორიც ქართულია, მსგავსი სიტყვები არ უნდა დაიკარგოს და ჩვენ მათი ლექსიკონში ასახვა უნდა შევძლოთ. ქართული ენის ლექსიკური შესაძლებლობები, დიალექტიზმები (თავისი ექსპრესიულობით) აგრეთვე დიდ ადგილს იკავებს ამ ლექსიკონში. დიდი ქართულ-ინგლისური (თემატური) ლექსიკონის მიკროსტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მეტყველების ნაწილი, გრამატიკული ინფორმაცია,

სტილისტიკური კვალიფიკაციები, კოლოკაციური ინფორმაცია, თარგმნითი ან მნიშვნელობის ეკვივალენტი ინგლისურ ენაზე, საილუსტრაციო წინადადება ქართულად და მისი თარგმანი ინგლისურად, მითითებანი და სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული შენიშვნები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ კონტექსტების მოძიებაა და ამ პროცესში გამოვიყენეთ არა მხოლოდ ცალკეული დარგობრივი სამეცნიერო მასალა, არამედ უდიდესი ნაწილი მოპოვებულია ენობრივი ტექსტკორპუსებიდან, მაგალითად: ქართული ენის ეროვნული კორპუსი, დიალექტური კორპუსი, პარალელური კორპუსი“.

„ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანების ციფრული კორპუსი უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია

შერთხია ბეროშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანების ციფრული კორპუსი ღია რესურსის სახით განთავსდა ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: https://geabco.com/. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ამ პროექტს ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ს აფხაზეთის ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი ლეილა ავიძბა. პროექტის თანახელმძღვანელი იყო გერმანიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, კავკასიოლოგი, პროფესორი მანანა თანდაშვილი. პროექტში ჩართული იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი რუსუდან პაპიაშვილი და ახალგაზრდა მეცნიერი, თსუ-ს ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა.

პროექტის განმახორციელებელ მეცნიერთა აზრით, აფხაზური ენისათვის ორენოვანი ციფრული რესურსის შექმნა და ერთწლიანი პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები ახალ პერსპექტივებს უხსნის აფხაზური ენის კვლევას თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ-აფხაზური ციფრული კორპუსი ბიძგს მისცემს აფხაზური ენის ტექნოლოგიზაციას, კერძოდ, დიდი მონაცემთა ბაზის შექმნას აფხაზურ ენაზე და კვლევას ორიგინალური მეთოდების გამოყენებით,

რომლებიც ქართულ-აფხაზურ ციფრულ კორპუსში ლინგვისტური კვლევების განსახორციელებლად შემუშავდა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის შედეგად შექმნილი რესურსი ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც ფართო პროფილის ჰუმანიტარული კვლევებისათვის (ლინგვისტიკა, ტექსტოლოგია, თარგმანმცოდნეობა და სხვ.), ისე აფხაზური ენისათვის ტექნოლოგიების განვითარების მიზნით. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ-აფხაზური ციფრული კორპუსი ეფექტურად შეგვიძლია გამოვიყენოთ საგანმანათლებლო სივრცეში და საფუძველი მოვუმზადოთ აფხაზური ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას საგანმანათლებლო მულტიმედიურ სწავლებაში (მაგ., დისტანციურ სწავლებაში), რაც თანხვედრაშია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცხადებულ სახელმწიფო ენის სტრატეგიის პრიორიტეტებთან აფხაზური ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების მიმართულებით.

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

სტუდენტური ფურცელი

რისი განვითარება სურთ სტუდენტებს უნივერსიტეტში

სტუდენტები საუბრობენ საუნივერსიტეტო გარემოს გასაუმჯობესებლად

7 გვ.

სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლის დაფინანსების ახალ ინიციატივაზე მეტი ინფორმაცია სჭირდებათ

დეტალები იხილეთ სტატიაში

8 გვ.

გერმანიაში სტუდენტთა დასაქმებას რა დადებითი და უარყოფითი გამოცდილება ახლავს თან?

საუბრობენ გერმანიაში ნამყოფი სტუდენტები

9 გვ.

რექტორი თსუ-ს ფაკულტეტების სტუდენტებს შეხვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრაზე რექტორმა სტუდენტებს საუნივერსიტეტო სიახლეები მოკლედ გააცნო და უახლოეს მომავალში მათი ჩართულობით განსახორციელებელ საკითხებზე ესაუბრა.

რექტორმა სასწავლო კურსების დუბლირების პრობლემის მოგვარებასა და ახალი სახელმძღვანელოების შექმნის საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, უახლოეს 2-3 წელიწადში ჩვენი სტუდენტები განახლებულ სასწავლო პროგრამებზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სახელმძღვანელოებით ისწავლიან.

თსუ-ში სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსის პირველ ეტაპზე 60-მდე პროექტი დაფინანსდა. ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს ამ მიმართულებით მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა, რადგან, მისი თქმით, სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს სამეცნიერო, სპორტული და კულტურული ღონისძიებების მიმართულებით.

თსუ-ს რექტორი სტუდენტებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე ესაუბრა. მისი თქმით, დოქტორანტ სტუდენტებს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა ექნებათ. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვასა და სასწავლო პროცესში ჩართვას.

ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ ფესტივალში ინტელექტუალური, სპორტული, კულტურული და მოხალისეობრივი მიმართულებით. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება გასვლითი ღონისძიებები, მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, გაიმართება კონფერენციები.

თსუ-ში კომპიუტერული სპორტის კლუბი დაარსდა

საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში პირველად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპიუტერული სპორტის კლუბი დაარსდა. პრეზენტაციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს ახალი კლუბის დაარსება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

„უკვე სპორტის სახეობად ჩამოყალიბდა კომპიუტერული თამაშების მიმართულება. მთელი მსოფლიო გადადის იმ სამყაროში, სადაც გლობალურ ქსელებს განუზომელი რესურსი აქვს და ამ რესურსების გამოუყენებლობა იქნება დანაშაული. ეს არის ხვალინდელი დღე. თქვენ შეგიძლიათ თავად შექმნათ პროგრამები და თუ ვინმე ამ საქმიანობას სპორტული შეჯიბრის გარდა, თქვენს პროფესიად აქცევთ, უკვე გექნებათ ძალიან დიდი შესაძლებლობები სამომავლოდ. ახალგაზრდებს მაქსიმალურად შეგიწყობთ ხელს, რომ გქონდეთ წვდომა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სივრცეზე, სადაც შეიკრიბებით და იმუშავებთ“, – განუცხადა ჯაბა სამუშიამ კლუბის წევრ სტუდენტებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კახი კუჭუხიძის ინფორმაციით, საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში მსგავსი კლუბი პირველად დაარსდა. „კომპიუტერული სპორტის კლუბი არის ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყება ჩვენი უნივერსიტეტისთვის. ჩვენი კარი არის ღია ინოვაციების მიმართ. კიბერსპორტის შემოტანით საუნივერსიტეტო სივრცეში გავამრავალფეროვნებთ სტუდენტურ ცხოვრებას, ახალ საფეხურზე გადავალთ. ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში, დიგიტალიზაციის საუკუნეში, ვალდებული ვართ, ამ ყველაფერს ფეხი ავუწყოთ და სტუდენტებს შევთავაზოთ ახალი პროექტები“, – აღნიშნა კახი კუჭუხიძემ.

კომპიუტერული სპორტის კლუბი გააერთიანებს კიბერსპორტით დაინტერესებულ სტუდენტებს; სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფარგლებში გაიმართება ჩემპიონატები კომპიუტერულ სპორტში; ასევე, შეიქმნება კიბერსპორტული ბაზა – შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სივრცე, სადაც ივარჯიშებენ თსუ ნაკრების წევრები და შემდგომ იასპარეზებენ ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებზე.

კომპიუტერული სპორტის კლუბი სტუდენტური თვითმმართველობის და საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაციის მხარდაჭერით დაარსდა.

შეხვედრა სტუდფესტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს და სტუდფესტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების შესახებ პრეზენტაცია წარადგინეს.

შეხვედრას თსუ-ს რექტორის მოადგილე კახაბერ ჭეიშვილი, თსუ-ს კანცლერი ლაშა საღინაძე, კანცლერის მოადგილე გიორგი შამათავა, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტების ესწრებოდნენ.

ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ბააკაშვილმა დეტალურად ისაუბრა იმ ძირითად პროგრამებსა და პროექტებზე, რომლებსაც ახალგაზრდობის სააგენტო მიმდინარე წლის განმავლობაში განახორციელებს.

შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა. თსუ-ს სტუდენტებს გააცნეს ახალგაზრდულ ფესტივალში მონაწილეობის პირობები, რეგისტრაციის ვადები, ასევე, ისაუბრეს სხვადასხვა აქტივობაში სტუდენტების ჩართულობის შესაძლებლობებზე.

სტუდფესტი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით გაიმართება, რომელშიც საქართველოს ყველა უნივერსიტეტიდან 25 000-მდე სტუდენტი ჩაერთვება.

ფესტივალი მოიცავს: უნივერსიტეტებს შორის სპორტული ტურნირების ჩატარებას, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების გამართვას, ინტერმედიას – რაც გულისხმობს საუნივერსიტეტო თეატრებს შორის კონკურსის ჩატარებას, მოხალისეობრივ აქტივობებსა და STEM კონკურსს, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობაში მიიღონ მონაწილეობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



რა ნაშრომზე მუშაობს დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა?

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ს ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტი გიორგი ჯღარკავა უახლოეს მომავალში დაასრულებს დისერტაციაზე მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს.

დოქტორანტურის გრანტის ფარგლებში გიორგი ჯღარკავას რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დაუფინანსა ინდივიდუალური პროექტი (შიფრი: PHDF-21-125), რომლის ფარგლებში გასულ წელს გამოიცა წიგნი – „ქართველურ ენათა ანდაზების ლინგვისტური კვლევის საკითხები“. რამდენიმე თვის წინ აღნიშნულმა ნაშრომმა წინანდლის პრემია დაიმსახურა.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი მზადდება თსუ-ს ქართული ენის ინსტიტუტში, ასოცირებული პროფესორების – მ. ლომიასა და ქ. მარგიანის ხელმძღვანელობით.

„ჩემს პიროვნებად და ახალგაზრდა მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდია ჩემი პროფესორ-მასწავლებლების წვლილი. მინდა ამ შემთხვევითაც ვისარგებლო და განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მთლიანად ქართული ენის ინსტიტუტის (ხელ-ლი, პროფ. რ. ქურდაძე) მიმართ“, – აღნიშნავს გიორგი ჯღარკავა.

გარდა იმისა, რომ გიორგი აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა თუ ფორუმებში, იგი მონაწილეობას იღებს, აგრეთვე, კვლევით გრანტებსა და პროექტებში, სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციებში.

„დიდი ინტერესით ვმუშაობ სეზონურ სკოლებში დიგიტალური ჰუმანიტარიის აქტუალურ საკითხებზე; ბოლო რამდენიმე წელია, დოქტორანტურაში სწავლის პარალელურად, ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში ვარ მოწვეული ლექტორი. თითოეული მიმართულება ჩემთვის საინტერესო და, ამავდროულად, ბევრის მომცემია. ამჟამად ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსით ჩართული ვარ რუსთაველის ფონდის დაფინანსებულ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციული სტრუქტურისა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელების ფუნდამენტურ კვლევას (შიფრი: FR-21-352). ახლახან დავასრულეთ მუშაობა რუსთაველის ფონდის დაფინანსებულ კიდევ ერთ პროექტზე, რომლის სახელწოდებაა „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანების ციფრული

კორპუსი“ (შიფრი: SL-22-556); შეიქმნა აფხაზური ენის ტექნოლოგიზაციის პროცესისთვის ძალიან საინტერესო და პრაქტიკული თვალსაზრისით ღირებული რესურსი – მონაცემთა ბაზა, რომელიც მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით შემდგომი კვლევების გასაღრმავებლად.

ჩემს პროფესიულ ზრდაში გამორჩეული ადგილი უჭირავს დიგიტალურ ჰუმანიტარიას. მოგეხსენებათ, ქართულ-გერმანული ინსტიტუციების (თსუ, ბსუ, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი) მხარდაჭერით, ქართველი და გერმანელი კოლეგების (პროფ. ი. გიპერტი, პროფ. დ. თვალთვაძე, პროფ. მ. თანდაშვილი, პროფ. რ. ხალვაში) თანამშრომლობით ჩატარებული საზაფხულო და ზამთრის სკოლები დღემდე იძლევა კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლებისა და გამოყენების საშუალებას ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში. გულწრფელად მიხარია, რომ მეც ვარ სეზონური სკოლების მსმენელთა პირველი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი; მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისერტაციაზე მუშაობას, აქამდე დაგროვებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად, ემპირიული მასალის დამუშავების ტექნოლოგიური რესურსებიც მიადვილებს“, – ამბობს გიორგი ჯღარკავა, რომლის ბიოგრაფიაშიც გამორჩეულ და საპატიო ადგილს იკავებს სხვადასხვა დროს მიღებული ჯილდოებიც: ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვება (2015 წ.), ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია (2016-2017 წ.წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი (2019 წ.).

რისი განვითარება სურთ სტუდენტებს უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წლებია უკვე, დიდ საქმეს ემსახურება და რჩება აბიტურიენტების ნომერ პირველ არჩევნად. უნივერსიტეტის სტუდენტობა მუდმივად იდგა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების წინა რიგებში, რადგან აქ სწავლობენ თავისუფალი, დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების ადამიანები. ამიტომაც მათი მოთხოვნები ყოველთვის იმისკენაა მიმართული, რომ კავკასიაში ნომერ პირველი უნივერსიტეტის სასწავლო, კვლევითი და ინფრასტრუქტურული გარემო შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს. იმ ფონზე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ეტაპობრივად აკმაყოფილებს სტუდენტთა გარკვეულ ინტერესებს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება კვლავაც გრძელდება, ჩვენ დავინტერესდით – კიდევ რის განვითარებას ისურვებდნენ ისინი, რომ სრულფასოვანი სასწავლო გარემო შეექმნათ.

დიტო გელძანია, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი: „მე მეექსვეკორპუსელი ვარ და მუდმივად მაწუხებდა კორპუსში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები. ბოლო თვეებში, ამ მხრივ, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები (მაგ. განახლდა ექსტერიერი), ხოლო, როგორც ვიცი, ზაფხულში სრულად კორპუსის, შესაბამისად, აუდიტორიების განახლება იგეგმება. იმედია, გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა მოთხოვნები და აუდიტორიები თანამედროვე სტილით მოეწყობა, ასევე, იმედს ვიტოვებ, რომ განახლდება ინვენტარიც, რადგან ამჟამად არსებული (მაგ. სკამები) ძალიან არაკომფორტულია ხანგრძლივად ლექციებზე ჯდომისათვის“.

თინათინ ლორთქიფანიძე, თსუ-ს ტურიზმის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი: „მეცხრე კორპუსში არ გვაქვს კაფეტერია, რაც სტუდენტებისთვის დიდ დისკომფორტთანაა დაკავშირებული და ძალიან გვაწუხებს. ასევე, ვისურვებდი, რომ კურსის განმავლობაში მოეწყოს ქალაქგარეთ ექსკურსიები, რათა ჩვენი პროფესია უკეთ შევიცნოთ“.

ლუკა მაღლაფერიძე, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი: „ლექციაზე დასწრება კომფორტული უნდა იყოს. მე, პირადად, მაწუხებს გაუმართავი ინვენტარი და მოძველებული სკამები. შესაძლოა, მსგავსი პრობლემა სხვა კორპუსის სტუდენტებს არ აწუხებდეთ, რადგან რიგი კორპუსებისა სრულად გარემონტდა, მაგრამ ჩვენ ეს პრობლემა გვაქვს. ვისურვებდი მაღლივი კორპუსის კეთილმოწყობასაც“.

ანა გურგენიძე, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი: „ახალი ინფრასტრუქტურა, ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, ადმინისტრაციის რეორგანიზება, მეტი სტუდენტური აქტივობა – ეს იმ ღონისძიებათა მცირე ჩამონათვალია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი. ახალი ინფრასტრუქტურა და ჰიგიენური გარემო არის ის პრიორიტეტი, რომელიც ყველა უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს. 21-ე საუკუნეში აუცილებელია, რომ უნივერსიტეტი მოერგოს სიახლეებს და მისცეს სტუდენტებს საშუალება, რომ სწავლა მეტად კომფორტული და საინტერესო გახდეს. სტუდენტების წასახალისებლად კარგი იქნებოდა მეტი აქტივობა, სხვადასხვა ღონისძიებები, საზაფხულო ბანაკები, რათა სტუდენტები ერთმანეთს მეტად დაუახლოვდნენ და მეტი გამოცდილებაც შეიძინონ“.

მარი ვაშაყმაძე, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი: „მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს ბევრი პრობლემა გვაქვს: მაგალითად, საგნების უმრავლესობა გვიტარდება იქ, სადაც ლექტორი მუშაობს. შესაბამისად, პარალელურად, რამდენიმე საგნის გავლისას, შენობიდან შენობაში გადაადგილებას საკმაოდ დიდი დრო მიაქვს და შუალედში არ გვრჩება არანაირი დრო არც კვებისთვის, არც მობილიზაციისთვის; არ გვაქვს სტუდენტური ზონა – მაგიდები, სკამები, ავეჯი; არ გვაქვს კაფეტერია შენობაში, სადაც გვექნება ჭამის შესაძლებლობა; მოსაგვარებელია შეფასების სისტემა: არც ერთმა სტუდენტმა არ ვიცით, რა კრიტერიუმების გათვალისწინებით გვაკლებენ ქულას. იმ ფონზე, როდესაც მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობა იმყოფება საკმაოდ ფართო და დიდ ქუჩაზე, ელემენტარული პირობაა, რომ სტუდენტთა უსაფრთხოებისთვის ინსტიტუტის წინ არსებობდეს ზებრა გადასასვლელი, რომელიც არ გვაქვს. დიდია შანსი, ნებისმიერ მომენტში მოხდეს უსიამოვნო შემთხვევა, ვინაიდან ამ ქუჩაზე ტრანსპორტის უწყვეტი ნაკადია და გვიწევს ქუჩის ბრმად გადაკვეთა“.

უნივერსიტეტს მართლაც აქვს პრობლემები, რომელთა მოგვარებაც სტუდენტებისთვის დიდი შვება იქნება. სტუდენტებს იმედი აქვთ, რომ მათ მიერ დასახელებული პრობლემები მარტივად მოგვარდება ადმინისტრაციის მხრიდან.

ანა კვინიკაძე

თსუ ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

სწავლის დაფინანსების ახალი ინიციატივა

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 6 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით გრძელდება განცხადებების მიღება 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის გადასახადის დაფინანსების მიზნით. ეს ინიციატივა თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველებს, მრავალშვილიანებსა და შშმ სტატუსის მქონე სტუდენტებს საშუალებას აძლევს – განცხადებით მიმართონ თბილისის მერიას და სრულად დაფარონ გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური.

„დაფინანსდებიან თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები, რომლებიც ირიცხებიან ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე, აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი და არიან მრავალშვილიანი ოჯახის წევრები; არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ან აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსი“, – განაცხადა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე კახი კალაძემ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ ნაწილდება თანხა გარკვეულ სტუდენტზე და აქვს თუ არა ყველა სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე სტუდენტს დაფინანსების მიღების შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სემესტრული თანხა გაიცემა არაუმეტეს – 1125 ლარისა, 50%, 70% და 100%-იანი დაფინანსებით. სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, თბილისში რეგისტრირებული ის სოციალურად დაუცველი სტუდენტები დაფინანსდებიან, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 70 000 ან ნაკლებია და სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე სწავლობენ. გასაცემი დაფინანსების რაოდენობა დამოკიდებულია სტუდენტის წინა სემესტრში მიღებულ შეფასების საშუალო არითმეტიკულ ქულაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაცია ატვირთულია, სტუდენტების გარკვეულ ნაწილს მაინც არ აქვს ინფორმაცია ამ პროგრამის არსებობაზე, შესაბამისად ბევრი მათგანი, ნაკლები ინფორმირებულობის გამო, პროგრამაში ვერ იღებს მონაწილეობას. აუცილებელია ხაზგასმით იყოს გამოკვეთილი ის ფაქტი, რომ ამ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ თბილისში რეგისტრირებული სტუდენტები ფინანსდებიან. (ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც რეგიონში რეგისტრირებული სტუდენტი აგროვებს ყველა საჭირო დოკუმენტს იმ იმედით, რომ სწავლას დაუფინანსებენ, მაგრამ, საბოლოოდ, აღმოჩნდება, რომ მას არ უზრუნველყოფენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გადასახადით მხოლოდ იმის გამო, რომ რეგიონშია რეგისტრირებულია და არა დედაქალაქში).

თბილისის მერიის ცხელ ხაზზე დარეკვაც გართულდა, რადგან დიდი დრო სჭირდება, სანამ ოპერატორი გიპასუხებს და სრულ ინფორმაციას მოგაწვდის იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც სტუდენტმა პროექტში მონაწილეობისთვის გამგეობაში უნდა წარადგინოს.

• პროგრამაში მონაწილეობისთვის სტუდენტმა მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

• ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან;

• ცნობა უნივერსიტეტიდან წლიური/სემესტრული გადასახადის და გრანტის პროცენტული ოდენობის მითითებით;

• უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშფაქტურა;

• უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების ფურცელი (გარდა I სემესტრის სტუდენტებისა);

• პირადობის მოწმობის ასლი;

ხოლო, პირველსემესტრელი სტუდენტისთვის ჩამონათვალს ემატება ცნობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულებისა და შედეგების შესახებ.

> **„სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 6 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით გრძელდება განცხადებების მიღება 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის გადასახადის დაფინანსების მიზნით“**

სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში უკვე დაფინანსდა 4 000-ზე მეტი სტუდენტი, რომელსაც აქვს სოციალურად დაუცველის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსი. ამასთანავე, წარმატებულ 617 მაგისტრანტს გამოეყო თანხა ფინანსური წახალისების მიზნით.

თინათინ ჭილაური

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

SEEვრცე – პლატფორმა, რომელმაც ასობით სტუდენტი გააერთიანა

ალექსანდე ფასიეშვილი

გასული წლის მიწურულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აქტიური დელეგატების ეგიდით ჩამოყალიბდა ახალი ინოვაციური სტუდენტური პლატფორმა სახელად „SEEვრცე“, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დახმარების გაწევას – იპოვონ საერთო ინტერესების მქონე სხვა სტუდენტები. ასევე, პლატფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა ახალი შესაძლებლობების წარმოქმნა, რაც სტუდენტურ ცხოვრებას ბევრად ოპტიმალურს გახდის. ამ პლატფორმის შექმნის იდეა გაჩნდა ჯერ კიდევ 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში, როდესაც გამოცხადდა მე-8 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. 2023 წლის 12 დეკემბერს ჩაეშვა პლატფორმის აპლიკაცია, სადაც განთავსდა სხვადასხვა „სივრცეები“ სტუდენტებისათვის. აქ ჩვენ ვხვდებით პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, საჯაროდ გამოსვლის ხელოვნების, სპორტის, ლიტერატურის, კინოხელოვნების, მუსიკის, კულტურისა და სხვა სახის ბლოკებს, სადაც დაინტერესებულ სტუდენტებს შეეძლებათ პრიორიტეტების მიხედვით მიუთითონ თავიანთი ინტერესთა სფეროები და აღმოაჩინონ ანალოგიური ინტერესების მქონე სტუდენტები.

„ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მიზანი, თუ რატომ ვიყარეთ კენჭი ამ არჩევნებში, იყო სწორედ ის, რომ სტუდენტებს გვსურდა, გაგვეუმჯობესებინა სტუდენტური ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენ საკმაოდ აქტიურად და ინტენსიურად ვაწარმოებდით წინასაარჩევნო კამპანიას. გვინდოდა, რომ ბევრი სტუდენტი გაგვეერთიანებინა და შეგვექმნა ჯანსაღი საუნივერსიტეტო გარემო. ბევრჯერ მოგვისმენია სტუდენტებისაგან, რომ ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებლებში და მეგობრები არ ჰყავთ, რომ სოციალიზაცია ჭირს, რომ ვერ იპოვეს საერთო ინტერესების მქონე ადამიანი და ა.შ. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა პლატფორმა „SEEვრცე“. რაც ეს პლატფორმა ჩავუშვით და აპლიკაციების მიღება გამოვაცხადეთ, სულ რაღაც 3 დღეში 100-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა, რაც ძალიან სასიხარულო იყო ჩვენი გუნდისთვის“, – გვითხრა პლატფორმის ერთ-ერთმა თანადამფუძნებელმა მარიამ ყოლბაიამ.

„ინიციატივა „SEEვრცე“-ს მიმართ სტუდენტების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, ვეცადეთ, რომ ბევრი ღონისძიება ჩაგვეტარებინა. ჩვენი პირველი ღონისძიება იყო საინფორმაციო შეხვედრა, სადაც ვისაუბრეთ ჩვენი პლატფორმის შექმნის იდეაზე, „Seeვრცე“-ს მიზნებსა და საქმიანობაზე. გარდა ამისა, პერიოდულად ვატარებდით არაფორმალურ შეხვედრებს „Seeვრცე“-ს წევრ სტუდენტებთან, სადაც გვქონდა სხვადასხვა აქტივობა ერთმანეთის უკეთესად გასაცნობად. ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო „Seeვრცე“-ს Kick-Off, სადაც მოწვეული გვყავდა სტუმარი – დავით ესათია, საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში 2022-2023 წლებში, რომელმაც ღონისძიების მონაწილეებს გააცნო გაეროს საქმიანობა და გაუზიარა საკუთარი გამოცდილება. ღონისძიების მეორე ნაწილი საინფორმაციო პრეზენტაციებს დაეთმო და ბოლოს გვქონდა Teambuilding აქტივობები. მონაწილეების უკუკავშირის გათვალისწინებით, ძალიან დასამახსოვრებელი, ინფორმაციული, საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა გამოგვივიდა. ღონისძიებას დაესწრო 50-ზე მეტი სტუდენტი და ამ ღონისძიების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა აპლიკაციებისა და ინიციატივით დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობა. ვფიქრობ, რომ „Seeვრცე“ ძალიან მალე უამრავ ახალგაზრდას დაეხმარება განვითარებაში, მისცემს მათ შესაძლებლობას, რომ სტუდენტობა, რომელსაც ცხოვრების საძირკველი შეგვიძლია ვუწოდოთ, გახადონ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული“, – გვეუბნება პლატფორმის თანადამფუძნებელი ალექსანდრე ფასიეშვილი.

ვანო კაკაშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

გერმანიაში სტუდენტთა დასაქმება – ხიბლი და პრობლემა

გერმანიაში საზაფხულო სამუშაოები სტუდენტებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. საზაფხულო სამუშაოებზე მსურველ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რასაც საქართველოში სტუდენტებზე მორგებული სამუშაოების სიმცირე განაპირობებს.

გერმანია, რომელიც ცნობილია თავისი ძლიერი ეკონომიკითა და შრომის ბაზრით, სხვადასხვა სამუშაოს სთავაზობს სტუდენტებს, რომლებიც ცდილობენ – მიიღონ სამუშაო გამოცდილება, გამოიმუშაონ დამატებითი თანხა და გაიუმჯობესონ თავიანთი ენობრივი პრაქტიკა ზაფხულის თვეებში.

„საზაფხულო სტუდენტურ სამუშაოებს გერმანიაში ბევრი დადებითი მხარე აქვს. პირველი ის, რომ გამოვიმუშავე თანხა. იქ რასაც დღეში მიხდიდნენ, საქართველოში შეიძლება ერთ თვეშიც კი ვერ იშოვო. კარგი იყო ასევე ის, რომ ვიმოგზაურე, ვნახე უცხო ქვეყნები, მივიღე როგორც სამსახურებრივი, ასევე მარტო, დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება, ჩემთვის ეს სამი თვე იყო სრული პიროვნული გარდაქმნის პერიოდი“, – გვიყვება თორნიკე ელაშვილი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით სწავლობს.

მაგრამ, ეს ყველაფერი ადვილი არ არის. სტუდენტებს პრობლემები ექმნებათ გერმანიაში წასვლამდე, რადგან საბუთების მომზადების პროცესი ნამდვილად არ არის მარტივი, ის საკმაოდ შრომატევადია. „საბუთების მოგროვების პროცესი ჩემთვის ნამდვილად არ ყოფილა მარტივი, რადგან ძალიან ბევრი სტუდენტი მიდის და უნივერსიტეტს უჭირდა ყველასთვის გაეწია დახმარება, რაც ჰქმნიდა დიდ რიგებს და გაურკვევლობას. საბუთების ძირითად ნაწილს ესაჭიროებოდა უნივერსიტეტის მხრიდან გაცემული ნებართვა და ხელმოწერა, ხშირად იქმნებოდა ტექნიკური ხარვეზები, რაც გვირთულებდა საქმეს. პირადად მე სამჯერ დამჭირდა უნივერსიტეტიდან ერთი და იგივე საბუთის მოძიება. შესაბამისად, ეს პროცესი ძალიან გაიწელა, 3-4 თვე დასჭირდა საბუთების სრულად მოგვარებას და გაგზავნას“, – იხსენებს სტუდენტი.


თორნიკე ელაშვილი

უცხო გარემოში ცხოვრება სტუდენტებისთვის მარტივი როდია, მათ ხშირად სხვადასხვა ბარიერთან და დაბრკოლებასთან უწევთ გამკლავება. თორნიკეს თქმით, ადაპტირების პროცესი მარტივი ნამდვილად არ აღმოჩნდა. „20 წლის ასაკში, როდესაც მარტო, ოჯახისა და მეგობრების გარეშე გადაწყვეტ იცხოვრო სამი თვით უცხო ქვეყანაში, ისაუბრო უცხო ენაზე, რომელიც, ფაქტობრივად, არ იცი, გაეცნო უცხო კულტურას – ნამდვილად არ არის მარტივი. არ დაგიმალავთ, პირველი ორი კვირა ძალიან გამიჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება, თუმცა შემდეგ სამსახურსაც შევეჩვიე და საკმაოდ ბევრი ახალი მეგობარიც შევიძინე. ნელ-ნელა ფეხი ავუწყვე გერმანულ ცხოვრებას“, – გვიყვება თორნიკე ელაშვილი.

ვურჩევ სხვებსაც – აუცილებლად ისარგებლონ ამ პროგრამით, შესაძლებლობებით, გამოსცადონ თავიანთი თავი და მიიღონ ახალი გამოწვევები, რომლებიც დაეხმარებათ გაზრდაში, ჩამოყალიბებაში და იმის გააზრებაში, თუ რა სურთ მათ.

ანა მინაძე

თორნიკეს მსგავსად გერმანიაში მუშაობის გამოცდილება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს ანა მინაძესაც აქვს. ის უკვე ორჯერ იმყოფებოდა გერმანიაში სამუშაოდ. ანას 2022 წელს კურსელმა ურჩია გერმანიაში სამუშაოდ წასვლა. იმ პერიოდისთვის არც ისე ცნობილი იყო ეს პროგრამა, როგორიც ახლაა. შესაბამისად, ბევრი ფიქრისა და ინფორმაციის მოძიების შემდეგ გადაწყვიტა წასვლა. მისი თქმით, მთავარია, სტუდენტებს ყველაფერი ჰქონდეთ კარგად გარკვეული როგორც ქართველი, ისე გერმანელი დამსაქმებლის შესახებ. ასევე საცხოვრებელ ადგილსა და სამუშაო პირობებზე თუ თავიდანვე ყველაფერი ნათელი იქნება და არ იქნება კითხვის ნიშნები, უამრავ სტრესს აირიდებენ თავიდან.

„ვურჩევ სხვებსაც – აუცილებლად ისარგებლონ ამ პროგრამით, შესაძლებლობებით, გამოსცადონ თავიანთი თავი და მიიღონ ახალი გამოწვევები, რომლებიც დაეხმარებათ გაზრდაში, ჩამოყალიბებაში და იმის გააზრებაში, თუ რა სურთ მათ. ისინი არა მხოლოდ ფინანსურ სარგებელს, არამედ კარგ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც მიიღებენ“, – ამბობს ანა მინაძე.

სტუდენტების დასაქმებაში მთავარ როლს სწორედ დამსაქმებლები ასრულებენ. ისინი მათ ეხმარებიან საბუთების მომზადებაში, სამუშაოს და საცხოვრებლის პოვნაში, გამგზავრებაში, დაბინავებაში და ა.შ.

ეკატერინე კრანცი ქართველი დამსაქმებელია, რომელიც უკვე ოცი წელია გერმანიაში ცხოვრობს და იქ მუშაობს, მას აქვს სამრეცხაო და, აქედან გამომდინარე, სტუდენტების დასაქმება უმარტივდება, რადგან ტურისტულ ადგილას ცხოვრობს და რესტორნების, სასტუმროების, სხვა მნიშვნელოვანი აპარტამენტების მეპატრონეები მისი კლიენტები არიან. ის სტუდენტებს მხოლოდ მის კლიენტებთან ასაქმებს. იგი ამით, ერთი მხრივ, კლიენტებს, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტებს ეხმარება.

„შარშან მქონდა შემთხვევა, როდესაც გადავწყვიტე შუამავალი კომპანიის მეშვეობით დამესაქმებინა ბავშვები, რამაც არ გაამართლა და ბოლოს ყველა ის სტუდენტი, ვინც შუამავალი კომპანიის მეშვეობით უნდა დასაქმებულიყო, ჩემთან წამოვიყვანე და ჩემს კლიენტებთან სათითაოდ ჩამოვარიგე სხვადასხვა სასტუმროსა და რესტორანში“, – იხსენებს ეკატერინე კრანცი.

გერმანიაში სამუშაოს მსურველთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია. მსურველები არა მარტო საქართველოდან, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან არიან, რადგან გერმანიაში სტუდენტი იაფ მუშახელად ითვლება. განა იმიტომ, რომ ცოტას უხდიან, არამედ იმიტომ, რომ სტუდენტები არ იხდიან იმ გადასახადებს, რასაც ჩვეულებრივი მოქალაქეები. გერმანიაში მცხოვრებთათვის თვითონ კომპანიას უწევს გადასახადების (პენსია, სამედიცინო დაზღვევა და ა.შ.) გადახდა. ეს ყველაფერი კი, სტუდენტების შემთხვევაში, არ სჭირდებათ. ასე რომ, დამსაქმებელს მუდმივი თანამშრომლის გაფორმება ბევრად ძვირი უჯდება, ვიდრე სტუდენტის.

გლაზგოს უნივერსიტეტის კვლევის მიხედვით, სტუდენტთა 80%-ს კვლავ სურს გერმანიაში სამუშაოდ წასვლა. კარგი ანაზღაურება, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, უცხო ქვეყნის, ტრადიციებისა და კულტურის გაცნობის საშუალება და ახალი მეგობრების შეძენის შესაძლებლობა – სწორედ ეს არის ის, რაც სტუდენტებს გერმანიაში სამუშაოდ წასვლისკენ უბიძგებს.

ანი კორშია,

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

ლუკა ყურუამ ჩინეთის სამთავრობო სტიპენდია მოიპოვა

შერთხია ბეროშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სინოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა ლუკა ყურუამ ჩინეთის სამთავრობო სტიპენდია მოიპოვა, რის საფუძველზეც მალე სწავლას პეკინის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტში განაგრძობს.

„მიმდინარე წლის იანვრის თვეში განაცხადი შევავსეთ ჩინეთის სამთავრობო სტიპენდიის მოსაპოვებლად. ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აქვთ საშუალება – სწავლა გააგრძელონ ჩინეთში სრულიად დაფინანსებული სწავლის საფასურით, საცხოვრებლით და ყოველთვიური სტიპენდიით. სტიპენდიატები ირჩევიან შესაბამისი საბუთების განხილვის და საელჩოში გასაუბრების შედეგად. საბედნიეროდ, მიმდინარე წლის მარტში საელჩოსთან გასაუბრების შემდეგ შემატყობინეს, რომ მოვიპოვე აღნიშნული სტიპენდია და ერთი წლით სწავლას გავაგრძელებ პეკინში, პეკინის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტში“, – ამბობს ლუკა.

ნარჩინებით სწავლის გამო ლუკა პირველივე სემესტრიდან დღემდე უნივერსიტეტის სტიპენდიატია.

ჩინური ენის სწავლა პირველივე სემესტრიდან დაიწყო და, მიუხედავად თავისებური გამოწვევებისა, შრომისმოყვარეობით, მონდომებით და დიდი ნებისყოფით შეძლო უნივერსიტეტში წარმატებით ჩაებარებინა ჩინური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო გამოცდა (B1).

„ჩინეთის მთავრობის სტიპენდიით ჩინური ენის ერთწლიან სასწავლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება ჩემთვის მეტად სასარგებლო იქნება რამდენიმე კუთხით. პირველ რიგში, საჭიროა, რომ შევძლო ენის ფლობა იმ დონეზე, რომ კურსის დასრულების შემდეგ შემეძლოს ჩინურენოვანი მასალის დამუშავება და თარგმნა. სინოლოგიის მიმართულებით ქართულენოვანი მასალის სიმწირისდა გამო დავიწყე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება. ორი წლის განმავლობაში დაახლოებით ათზე მეტი მოხსენება წარმოვადგინე სამეცნიერო კონფერენციებზე. სამეცნიერო მოხსენებებზე, უმეტეს შემთხვევაში, გამოვიყენე ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი მასალები. მოხსენებები, ძირითადად, ეხებოდა ჩინეთის ისტორიის, პოლიტიკის, რელიგიურ-ფილოსოფიურ და ლიტერატურის საკითხებს. ბუნებრივია, თუ ჩინეთთან დაკავშირებულ საკითხებს ვიკვლევ, საჭიროა ჩინურენოვანი მასალის გამოყენებაც. აქედან გამომდინარე, ჩემი ჩინური ენის დონის გაუმჯობესებაც ამ მიზანს ემსახურება. დიდი იმედი მაქვს, რომ პეკინის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტში შევძლებ ჩინური ენის სათანადო დონეზე შესწავლას, რადგან აღნიშნული უნივერსიტეტი უცხოელი გაცვლითი სტუდენტებისთვის ჩინური ენის შესწავლის მხრივ ჩინეთში ერთ-ერთი საუკეთესოა“, – აცხადებს ლუკა.



ლუკას სამომავლო გეგმებიც ისევ ჩინური ენის და კულტურის შესწავლას უკავშირდება. „სწავლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში დავბრუნდები, რათა დავასრულო ბაკალავრიატის საფეხური და დავიცვა ჩემი საბაკალავრო ხარისხი კონკრეტული ნაშრომით. ჩინური ენის დონის გაუმჯობესების და სათანადო მთარგმნელობითი პრაქტიკული საგნების გავლის შემდეგ, რომელსაც მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტი გვთავაზობს, მსურს მივიღო პრაქტიკა ჩინურენოვანი მხატვრული ლიტერატურის თარგმანის კუთხით. საბაკალავრო ნაშრომის დაცვისა და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მსურს მაგისტრატურის საფეხურზეც სწავლის გაგრძელება.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელს, თსუ-ს პროფესორს, სამეცნიერო კონფერენციებში ჩემს ხელმძღვანელს ქალბატონ ნანა გელაშვილს, რომელიც თავისი პროფესიონალიზმით და საქმისადმი დიდი სიყვარულით ყველანაირად უდგას თითოეულ სტუდენტს მხარში, რომ მიაღწიონ დიდ წარმატებებს“, – ამბობს ლუკა ყურუა.

თამთა ბერიძეს ჩეხეთში სწავლის გასაგრძელებლად სასიამოვნო გარემო დახვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი თამთა ბერიძე წლევანდელი გაზაფხულის სემესტრს ჩეხეთში, ქალაქ ოლომოუცის „პალაცკის უნივერსიტეტში“ ატარებს. თამთა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიის მიმართულებით სწავლობს. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე ყოველთვის ფიქრობდა და იცოდა, რომ ნებისმიერი შანსი უნდა გამოეყენებინა საზღვარგარეთ სწავლისთვის. ჩეხეთში არასდროს ყოფილა, ამიტომ, ფიქრობდა, რომ უცხო ქვეყანასთან, გარემოსთან შეგუება მისთვის რთული გამოწვევა იქნებოდა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, იქ ჩასულს სასიამოვნო გარემო დახვდა.

„გარემო დამხვდა შესანიშნავი, ყველა ასპექტში. ლექტორებმა გაგვიმხილეს, რომ სასიამოვნოა ასწავლო ჯგუფს, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების ადამიანია გაერთიანებული და რომ საინტერესოა მათი აზრის მოსმენა ამა თუ იმ საკითხზე. სტუდენტებზეც იგივე შემიძლია ვთქვა – ყველას ერთი სული აქვს, როდის გაიცნობენ ახალ ადამიანებს. სწორედ ამიტომ შეიქმნა ის სასიამოვნო გარემო, რაც დამხვდა“, – ამბობს თამთა.

ერასმუსის გაცვლით პროგრამაში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან რამდენიმე ათეული სტუდენტი იღებს მონაწილეობას. სხვადასხვა ენის, კულტურისა და ტრადიციების მატარებელი ინდივიდი ერთად იყრის თავს. საინტერესოა, როგორ აცნობენ ისინი ერთმანეთს მშობლიურ მხარეს? „რა თქმა უნდა, ყველას აქვს საშუალება – წარადგინოს საკუთარი ქვეყანა. ამისთვის ეწყობა ე.წ. „კულტურის საღამოები“, რომელზეც სტუდენტები სხვადასხვა გზით წარადგენენ სამშობლოს, იქნება ეს ქორეოგრაფია, ფოლკლორი, კერძები თუ სხვა რამ. თუმცა ეს მხოლოდ წინასწარ მოწყობილ საღამოებზე არ ხდება. თითოეული ქართველი ვცდილობთ, მოვაწონოთ საქართველო ჩვენს ახლად შეძენილ მეგობრებს, გავაცნოთ ჩვენი ენა, ტრადიციები, კულტურა და, რაღა თქმა უნდა, სამზარეულო“, – გვეუბნება თამთა.

სასწავლო სისტემა ქართული უმაღლესი სასწავლებლებისგან არაერთი ასპექტით განსხვავდება. მაგალითად, ჩეხეთის უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს შუალედურ გამოცდებს, რაც, მისი თქმით, არ აისახება სტუდენტების საბოლოო შედეგებზე, რადგან ეს ქულები სხვა აქტივობებით ბალანსდება. ამ სისტემის მიხედვით, ძირითადი აქცენტი პრაქტიკულ სამუშაოებზე კეთდება. „ზოგადად, სასწავლო სისტემა ძალიან განსხვავდება. მაგალითად, შუალედური გამოცდები აქ არ არსებობს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა სუსტია. მეტიც, შუალედური გამოცდების გარეშე მეტი დრო და ენერგია იხარჯება ლექციებსა და სასემინარო სამუშაოებზე“, – ამბობს იგი.

უნივერსიტეტის გარდა, მნიშვნელოვანია, თუ როგორ პირობებს სთავაზობს ქვეყანა იქ ჩასულ სტუდენტებს. გაცვლითი პროგრამის თითოეული სტუდენტი სრულუფლებიანია და იყენებს ყველა იმ შეთავაზებასა თუ შეღავათს, რასაც მასპინძელი ქვეყანა სთავაზობს თავის სტუდენტს. ჩეხეთი სწორედ ის სახელმწიფოა, რომელიც ცდილობს – სტუდენტებს ისეთი გარემო შეუქმნას, რომელშიც ისინი თავს კომფორტულად იგრძნობენ. „შემიძლია ვთქვა, რომ ჩეხეთი ნამდვილად ცდილობს სტუდენტს კომფორტული გარემო შეუქმნას და გამოსდის კიდეც. სტუდენტი სრულად უზრუნველყოფილია როგორც განათლების, ასევე, განტვირთვის მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია“, – გვითხრა თამთამ, რომელმაც ყველა იმ სტუდენტისთვის, ვინც გაცვლითი პროგრამით სარგებლობას აპირებს, გზავნილიც დაგვიტოვა: „ვისაც უნდა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, ვურჩევდი, რომ ყველა შანსი გამოიყენონ, რასაც თსუ შესთავაზებს. იმის მიუხედავადაც, თუ ჰგონიათ, რომ შანსი ძალიან მცირეა, მაინც სცადონ, რადგან ცდის და რისკის გარეშე არაფერი გამოვა“, – ურჩევს ის სტუდენტებს.

სოფია ბოლქვაძე,

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

რა მისცა ანა გაგუას ტარტუს უნივერსიტეტში სწავლამ?

თამარ დადიანი

ანა გაგუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტია.

„ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა მათემატიკა და თავიდანვე მქონდა გადაწყვეტილი, რომ ისეთი პროფესია ამერჩია, სადაც აქტიური შეხება მექნებოდა მათემატიკასთან. კომაროვის საშაბათო სკოლა დავამთავრე და სკოლის წლებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი მათემატიკისა და ინგლისურის ოლიმპიადებში. ეს ყველაფერი იმდენად მსიამოვნებდა, რომ თავიდანვე ყველა ხვდებოდა, რომ ტექნიკურ მხარეს ავირჩევდი. კონკრეტულად ეკონომიკით იმიტომ დავინტერესდი, რომ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სფეროდ მიმაჩნია, რომელზეც მთელი ქვეყანა და მისი კეთილდღეობა დგას. ამასთან ერთად, ეკონომისტების გარემოცვაში გავიზარდე და ოჯახში ეკონომიკურ საკითხებზე კამათის დროს დებატებში ყოველთვის ვერთვებოდი. ბავშვობიდან საკმაოდ რაციონალური ვარ და, რა თქმა უნდა, ეკონომიკით იმიტომაც დავინტერესდი, რომ წინ უამრავი კარიერული პერსპექტივა მეშლებოდა, მაგალითად: მონაცემეთა ანალიტიკის, მონაცემთა მეცნიერების, ფინანსების აუდიტისა თუ სხვა მიმართულებით“, – აცხადებს ანა გაგუა, რომელსაც მშობლები საკმაოდ მკაცრად ზრდიდნენ და საკმაოდ ხშირად ახსენებდნენ, რომ აუცილებელი იყო საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმის გამოყენება იმისათვის, რომ ცხოვრებაში წარმატებული ყოფილიყო.

„ყველამ ვიცით, რომ თსუ-ს საერთაშორისო ეკონომიკური სკოლა (ISET) ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში და ტარტუს უნივერსიტეტიც ძალიან პრესტიჟული უნივერსიტეტია ესტონეთში, ამიტომ მოლოდინი მქონდა, რომ ხარისხიან განათლებას მივიღებდი. ეს მოლოდინები ნამდვილად გამართლდა. ასევე, ჩემთვის პრიორიტეტულია სხვადასხვა რესურსებზე წვდომა. ლექტორები ყოველთვის

გვაწვდიან დამატებით ინფორმაციას, საკითხავ ლიტერატურას და მზად არიან უპასუხონ სტუდენტების ნებისმიერ კითხვას. უნივერსიტეტში იმ მოლოდინით ჩავაბარე, რომ არა მხოლოდ კარიერული განვითარების შესაძლებლობა მექნებოდა, არამედ დავიხვეწებოდი პიროვნულადაც. ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე ტარტუს უნივერსიტეტში უცხოელ პერსპექტიულ ახალგაზრდებთან ურთიერთობით, გავიუმჯობესე კომუნიკაციის უნარი, გავეცანი სხვადასხვა კულტურას, დავხვეწე ინგლისური ენა და ასე შემდეგ“, – აღნიშნავს ანა, რომელიც თანატოლებს, ვისაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა სურს, ურჩევს – კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე იმუშაონ.

„მშობლები არასდროს არაფერს იშურებდნენ ჩემთვის, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შანსს მომცემდა. შესაბამისად, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მოტივაციის დიდი ნაწილი მათგან მოდიოდა. ძალიან მინდოდა, რომ მშობლების იმედები გამემართლებინა და ჩემით ეამაყათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც არასდროს ჩამითვლია, რომ ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებ. გონებიდან არასდროს ამომდის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი არსებობს, ვინც ჩემზე გაცილებით მეტი იცის და, ალბათ, არც დადგება ის მომენტი ცხოვრებაში, როცა საკუთარი თავით კმაყოფილი ვიქნები“, – ამბობს ანა, რომელმაც გასული წლის გაზაფხულის სემესტრი გაცვლითი პროგრამით ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში გაატარა.

> **აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში. გულით და სულით ქართველი ვარ და მიჭირს დიდხანს ჩემი ქვეყნის გარეშე ყოფნა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება, რომ საქართველოში, სამუშაოს ანაზღაურების მხრივ, მისაღები პირობები დამხვდეს**

„უცხო ქვეყანაში აუცილებელია მეგობრები გაიჩინო, რომ ეს გამოცდილება გაუსაძლისი არ იყოს. გაჭირვების დროს უნდა შეგეძლოს ვინმეზე დაყრდნობა. ასევე ვურჩევდი, რომ იმ ქვეყნის კულტურას გაეცნონ, სადაც უნდათ რომ სწავლა გაგრძელონ. მნიშვნელოვანია, რომ იქაური ეთიკის ნორმებს მოერგონ. დამოუკიდებლობის ნელ-ნელა მიჩვევა უცხო ქვეყანაში ყოფნისას ძალიან გამოადგებათ, რადგან იქ შენ თავზე მხოლოდ შენ ზრუნავ“, – აცხადებს ანა, ვისაც ISET-ში გატარებული წლები არასდროს დაავიწყდება.

„ISET-ში გავიცანი უამრავი ადამიანი, რომლებიც საკუთარი თავის შეცნობაში დამეხმარნენ. ნამდვილად ვეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტში გატარებული წლები საუკეთესოა. ISET-ში შეძენილი ცოდნა და უნარები ყოველდღიურად მადგება. ტარტუში სწავლაც რთული აღმოჩნდა რეალურად, მაგრამ ISET-ში სწავლის სირთულეს ნამდვილად ვერ შეედრება, ამიტომაც გამიმარტივდა იქ სწავლა. ორივე უნივერსიტეტს უამრავი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ მინდა გამოვარჩიო ის, რომ ISET-ში ადმინისტრაციას მჭიდრო ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან და თითქოს ერთი ოჯახი ვართ. სასწავლო პროცესში იმას შევცვლიდი, რომ სტუდენტს შესძლებოდა ლექციები ონლაინაც მოესმინა“, – გვიზიარებს აზრებს ანა გაგუა, რომელსაც ხშირად უფიქრია უცხოეთში კარიერის აწყობაზე, მაგარამ იქ დარჩენას საბოლოოდ მაინც არ ფიქრობს: „აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში. გულით და სულით ქართველი ვარ და მიჭირს დიდხანს ჩემი ქვეყნის გარეშე ყოფნა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება, რომ საქართველოში, სამუშაოს ანაზღაურების მხრივ, მისაღები პირობები დამხვდეს“, – ამბობს ანა, ვისაც სამომავლოდ ძალიან ბევრი გეგმა აქვს.

რა განსხავება აღმოაჩინა ქეთი ტატიშვილმა ფინეთში სწავლისას

ქეთი ტატიშვილი იმ სტუდენტთა ნაწილს მიეკუთვნება, რომლებმაც ერასმუს პლიუსის გაცვლით პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა. ქეთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების მეოთხეკურსელია. მან გაცვლით პროგრამაში მეოთხე კურსის პირველ სემესტრში მიიღო მონაწილეობა, რომლის ფარგლებშიც ერთი სემესტრის განმავლობაში ფინეთში, ქალაქ იავასკულაში, იავასკულას უნივერსიტეტში სწავლობდა.

როგორც თავად გვიყვება, მსგავს პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ჰქონდა და იცოდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერასმუს პლიუსის გაცვლითი პროგრამების დიდი არჩევანით გამოირჩეოდა. სწორედ ეს იყო სტუდენტისთვის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი, რის გამოც მან თსუ აირჩია. იმის მიუხედავად, რომ მისი მიზანი – ესწავლა უცხოეთში, დიდი იყო, ჩაბარებისთანავე ვერ მოახერხა წასვლა – სურვილს წინ კოვიდ პანდემია გადაეღობა, რის გამოც ქეთი შესაბამის დროს ელოდა.

სოციალური მუშაობის სტუდენტმა პროგრამაში მონაწილეობისთვის მზადება ერთი სემესტრით ადრე, მესამე კურსის მეორე სემესტრიდან დაიწყო.

„პირველი ეტაპი, რომელიც გავიარე, ეს იყო ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება. იმათ, ვისაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი, შეუძლიათ, რომ თსუ-ში ჩააბარონ შესაბამისი გამოცდა. მეორე ეტაპზე კი ვიწყებთ საბუთების შეგროვებას. საბუთებს ვტვირთავთ უნივერსიტეტის საიტზე გაცვლითი პროგრამებისთვის mobility.tsu.ge-ზე, ამის შემდეგ ინიშნება გასაუბრება, იმ შემთხვევაში, თუ პირველ ეტაპს წარმატებით გაივლით. გასაუბრების გავლის შემდეგ მიიღებთ ან თანხმობას, ან უარს. დადასტურების შემთხვევაში კი დაგაკავშირებენ თქვენთვის სასურველ უნივერსიტეტთან“, – გვიხსნის ქეთი.

ძალიან საინტერესო ლექციები გვიტარდებოდა, ამიტომ განსაკუთრებით მომწონდა ლექციებზე დასწრება. ის განსხვავებული იყო თუნდაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციებისგან – იყო მეტად ინტერაქციული

„როდესაც ჩავედი ფინეთში, არ მქონდა ნერვიულობის განცდა. უცნაურია, მაგრამ ძალიან მარტივად შევეჩვიე იქაურობას, იმის გათვალისწინებით, რომ არც ენა ვიცოდი და არც ფინურ კულტურას ვიცნობდი. შესაბამისად, ეს ყველაფერი ამაღელვებელი უნდა ყოფილიყო ჩემთვის, თუმცა მარტივად ავითვისე იქაური ცხოვრების სტილი. ეს დამეხმარა რამდენიმე თვის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიმეღო იქ გატარებული დროისგან“, – გვიყვება სტუდენტი.

ფინეთში ყველაზე მეტად უნივერსიტეტი მოეწონა, ის, რის გამოც რეალურად წავიდა იქ. მოწონების მიზეზი კი მარტივი, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო – კამპუსი სტუდენტების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. ქეთის თქმით, სივრცე ისე იყო მოწყობილი, რომ ყველა სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროება იყო გათვალისწინებული, თუნდაც კაფეტერია, რომელიც თითოეულ შენობაში იყო, ასევე სამეცადინო სივრცეები, ოთახები კონფერენციებისა და ჯგუფური შეხვედრებისთვის.

„ძალიან საინტერესო ლექციები გვიტარდებოდა, ამიტომ განსაკუთრებით მომწონდა ლექციებზე დასწრება. ის განსხვავებული იყო თუნდაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციებისგან – იყო მეტად ინტერაქციული“, – იხსენებს ქეთი.

ვინაიდან ფინეთში სწავლება ინდივიდუალურ საჭიროებებზეა ორიენტირებული, იქ ყველანაირად ცდილობენ, რომ სტუდენტისთვის სწავლების პროცესი ნაკლებად სტრესული იყოს. ქეთის აზრით, სწორედ ეს არის დიდი განსხვავება ფინურ და ქართულ სწავლებას შორის, რადგან, როგორც თავად ამბობს, ისიც და მისი ის მეგობრებიც, რომლებიც საქართველოში სწავლობენ, სტრესულ სიტუაციაში სხვადასხვა მიზეზების გამო აღმოჩნდებიან ხოლმე. „ალბათ ამას შევცვლიდი ჩვენს უნივერსიტეტში, რომ ის სერვისები, რაც არსებობს სტუდენტებისთვის, მეტად იყოს მათზე მორგებული“, – დასძენს სტუდენტი.

სწავლის გარდა, ქეთი ცდილობდა, ისეთი ადგილები მოენახულებინა, რაც ფინეთის უნიკალურობას კარგად დაანახებდა. გაცვლითი პროგრამის სტუდენტი იესენის (Erasmus Student Network – ESN) მიერ დაფინანსებულ ორ ტურში იმყოფებოდა. პირველი ტური ბალტიისპირეთის ქვეყნებში იყო, რომლის ფარგლებშიც მან ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა მოინახულა, ხოლო მეორე ტური კი მოიცავდა ლაპლანდიას, ჩრდ. ფინეთისა და ნორვეგიის ნაწილს.

„რატომ ვფიქრობ, რომ ეს ტურები იყო განსაკუთრებული და უნიკალური? სხვა შემთხვევაში ჩემ თავს ლაპლანდიაში ვერ წარმოვიდგენდი. ვერ წარმომიდგენია, რომ ცხოვრების სხვა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მომენტში აღმოვჩნდებოდი ლაპლანდიაში და ვნახავდი ჩრდილოეთის ციალს“, – აღნიშნავს იგი.

ქეთის სამომავლო გეგმებში მაგისტრატურაზე უცხოეთში სწავლის გაგრძელება შედის, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ მალევე ამას არ აპირებს.

მარიამ ბარამიძე,

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

მარიამ აბულაძის კეთილი მისია

ნატო ობოლაძე

პოზიტიური მშობლობის შესახებ დაახლოებით ერთი წელია ფეისბუქსივრცეში ახალი გვერდი „ზრუნვა“ გამოჩნდა. „ზრუნვა“ სოციალური ქსელის მომხმარებლებისთვის ბავშვის კოგნიტიური და მოტორული უნარების, ასევე მშობლისა და ბავშვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშემწყობ სხვადასხვა ვიდეორგოლებს ავრცელებს. ჩანაწერებში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება მცირე დანახარჯებით, სახლის პირობებში დამზადებული სათამაშოებით შვილთან ერთად ისეთი საინტერესო და სასარგებლო აქტივობების განხორციელება, რაც, ამავე დროს, მცირეწლოვანების გაჯეტებზე დამოკიდებულებას შეამცირებს.

„ჩვენი მთავარი მესიჯი მშობლებისთვის არის ის, რომ ბავშვისთვის ღირებული არა სათამაშო, არამედ ის დროა ძვირფასი, რომელსაც მასთან მშობელი ატარებს და ამ დროის მანძილზე ბევრი საინტერესო რამის გაკეთება შეუძლიათ სახლის პირობებშიც“, – განმარტავს მარიამ აბულაძე, რომელიც პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი, ავტორი და თსუ-ს სოციალური მუშაობის მეორე კურსის სტუდენტია.

„გასული სემესტრი ფულდას გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამაზე, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ვისწავლე. ბევრი ახალი თეორია და მუშაობის მიმართულება გავიგე სოციალურ მუშაობაში. მეტი გავიგე მკვიდრ მოსახლეობაზე და კვლევის ახალ ფორმაზე, რომელიც მკვიდრ მოსახლეობასთან შეგვიძლია გამოვიყენოთ. ასევე ვისწავლე – სოციალური სივრცის კვლევა როგორ უნდა ჩავატარო.

ჩემთვის საინტერესო იყო კურსის ფარგლებში პრაქტიკის გავლა ახალგაზრდულ ცენტრში. იქ მუშაობამ საშუალება მომცა განსხვავებები დამენახა ქართულ და გერმანულ სოციალურ მუშაობას შორის. საინტერესო იყო ჩემთვის უცხო გარემოში მუშაობა, რამაც მასწავლა რთულ სიტუაციებში ადაპტირება და გამააზრებინა ბავშვებთან ურთიერთობისას არავერბალური კომუნიკაციის როლი. საინტერესო იყო სხვადასხვა ინსტიტუტებში სტუმრობა; ერთ-ერთი კურსის ფარგლებში ვესტუმრეთ სათემო ორგანიზაციებს – ანა ფრანკის საგანმანათლებლო ცენტრს და „Eastside Europe's largest low-threshold facility for addiction care“. ამ ინსტიტუტებში სტუმრობით გავიგე ცენტრების ფუნქციონირებასა და ახალგაზრდებთან მუშაობის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ეს იყო შესაძლებლობა – პარალელი გამევლო ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან, ვცდილობდით დაგვენახა მსგავსება/განსხვავება და განვიხილავდით – როგორ შეიძლება სოციალური მუშაობის უკეთესი პოლიტიკის შემუშავება.



სწავლასთან ერთად საინტერესო იყო გერმანიის ისტორიის ისეთი დეტალების გაცნობა, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ჩემთვის, ან მხოლოდ წაკითხული მქონდა ისტორიის წიგნებში. კურსის ფარგლებში ვესტუმრეთ Alpha point-ს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის ორად გაყოფის დროს, საზღვარს წარმოადგენდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის, ასევე ვეწვიეთ ყოფილ საავადმყოფოს, სადაც ფარულად კლავდნენ ადამიანებს, რომლებიც მიუღებელი იყო ჰიტლერის გერმანიისთვის (მაგალითად, ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები, მეამბოხე ახალგაზრდები, რომლებიც არ ემხრობოდნენ იმ დროინდელ გერმანულ სახელმწიფო წყობას და ა.შ.).

იმდენად დავახლოვდით სტუდენტები, რომ ერთმანეთი მივიწვიეთ ჩვენს ქვეყნებში. ერთად ვგეგმავდით აქტივობებს. სანამ წამოვიდოდით, საერთაშორისო სტუდენტებმა ერთად საშობაო ორცხობილები გავაკეთეთ და ერთად წინასწარ ვიზეიმეთ შობა-ახალი წელი. სწორედ გერმანიაში წასვლით მომეცა საშუალება ასევე მენახა სხვადასხვა მცირე თუ დიდი ქალაქები გერმანიაში.

უნივერსიტეტმა დააფინანსა და დაგეგმა ტური ბერლინში, სადაც ისტორიული ადგილები მოვინახულეთ და ვეცადეთ სხვადასხვა კუთხით დაგვენახა ბერლინი – მეამბოხე ახალგაზრდებით სავსე, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური პროტესტის გამოსახატავად იყენებენ გრაფიტის მხატვრობას; ბერლინი, რომელიც დიდ ისტორიულ ტკივილს იტევს და თანამედროვე მრავალფეროვნებითა და მიმღეობით ცდლობს ამ ტკივილის მოშუშებას და ამ ყველაფრის ფონზე ვისაუბრეთ სოციალურ მუშაობაზე

თანამედროვე გერმანიაში“, – გვიყვება მარიამი.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას მარიამი მომავალშიც გეგმავს. როგორც გვითხრა, კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობა-შესწავლა-გაზიარება აუცილებელი კომპონენტია.

ამ დროისთვის თსუ-ს ტუტორების მოხალისეობრივ პროგრამაშია ჩართული, რომელიც უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა აღადგინა.

„ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე დავეხმარო გაცვლითი პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც აქ ჩამოვლენ. თვითონ გამოვცადე – რა რთულია, როცა გეშინია სამომავლოდ რა იქნება და არ იცი – რა გააკეთო. რადგან სისტემა განსხვავებულად მუშაობს, ამიტომ მნიშვნელოვანია გვერდით გყავდეს ადამიანი, რომელიც გაგარკვევს და დაგეხმარება“, – ამბობს მარიამ აბულაძე.

თსუ-ს სტუდენტური გუნდი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრის 32 საუკეთესო გუნდს შორის დასახელდა

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური გუნდი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრში კომერციულ სამართალში Willem C.Vis სახელობის იმიტირებული პროცესების შეჯიბრის 32 საუკეთესო გუნდს შორის დასახელდა (400 გუნდიდან).

წლევანდელ Vis Moot-ის კონკურსზე, 2023-2024 წლების სეზონისათვის, 22-28 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტები — ელენე კაკულია, ალექსანდრე კახაძე, ლუკა ხვარეშია, მარიამ სხირტლაძე და უტა ხარბედია წარმოადგენდნენ. შეჯიბრის ფინალური ეტაპი ვენაში გაიმართა. „ეს გამორჩეული პიროვნებები შეირჩნენ განსაკუთრებული ნიჭისა და დიდი მოტივაციის საფუძველზე შთამბეჭდავი GPA-ით, ძლიერი აკადემიური მოსწრებით და ინგლისურისა და ბიზნეს სამართლის ღრმა ცოდნით, ისინი მზად არიან წარმატებით იასპარეზონ Vis Moot-ის კონკურსში“, — აღნიშნული იყო Vis Moot-ის მთავარ საინფორმაციო გვერდზე.

ვის მუთი არის მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო იმიტირებული საარბიტრაჟო პროცესების ჩემპიონატი, რომელიც ყოველწლიურად აერთიანებს მსოფლიოს 4 000-მდე სტუდენტს ყველა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. ვის მუთში მონაწილეობა იძლევა ერთი წლის განმავლობაში საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟისა და ნასყიდობის სამართლის ყველაზე პრობლემატურ საკითხებზე მუშაობის შესაძლებლობას. ვის მუთი სტუდენტებს აძლევს კარიერული წინსვლის შესანიშნავ შანსს და ახალ შესაძლებლობებს. ვის მუთში მონაწილეობით ახალგაზრდები საგრძნობლად იუმჯობესებენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების და სტიპენდიის მიღების შანსებს.

მოგახსენებთ, რომ თსუ იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა Willem C. Vis სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესების რიგით მე-13 თბილისის საერთაშორისო ფრი-მუთზე მეორე ადგილი დაიკავა და საქართველოს ჩემპიონი გუნდი გახდა.

გუნდის წევრი ელენე კაკულია დასახელდა Tbilisi Vis Pre-Moot-ის საუკეთესო სპიკერად. ასევე, ალექსანდრე კახაძემ და ელენე კაკულიამ სპონსორების აღიარება მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის გუნდი Commercial Law Development Program U.S. Department and Commerce (CLDP)-ის რჩეული გახდა და მოიპოვა სრული დაფინანსება ვენაში შეჯიბრის ფინალურ ეტაპზე გასამგზავრებლად.

გუნდს ხელმძღვანელობდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი გოჩა ოყრეშიძე. ასევე, მწვრთნელები გახლდნენ ჩვენი კურსდამთავრებულები ნინო ბერულავა და დიანა ტაკიძე. გუნდის მომზადების პროცესში ჩართული იყო ირაკლი ჯოჯუა.

Willem C. Vis სახელობის იმიტირებული პროცესების შეჯიბრი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრია საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში. შეჯიბრის ფინალური ეტაპი ყოველწლიურად ვენაში იმართება და მასში სხვადასხვა ქვეყნის ასეულობით გუნდი მონაწილეობს. ფინალური ეტაპის გამართვამდე მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქები მართავენ მოსამზადებელ შეჯიბრებს (Pre-Moots), სადაც სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტის გუნდები იღებენ მონაწილეობას.

რამდენი ბალით აფასებენ სტუდენტები ლისის სტუდქალაქში ცხოვრების ხარისხს

ლისის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ამჟამად 240 სტუდენტი ცხოვრობს, როგორც ამას სტუდქალაქის ადმინისტრაცია გვეუბნება. ლისის საერთო საცხოვრებელი ძალიან კეთილმოწყობილი და კომფორტულია სტუდენტებისთვის. „ძირითადი პრობლემა, რაზეც სტუდენტები მოგვმართავენ ხოლმე, ეს არის სანტექნიკისა და ელექტროობის დაზიანებები, სადურგლო საქმე და ერთ ოთახში მცხოვრებთა შეუთანხმებლობა. ჩვენც მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მყისიერად მოვახდინოთ რეაგირება და დავეხმაროთ ჩვენს სტუდენტებს“, – აცხადებს სტუდქალაქის ადმინისტრატორი, ქალბატონი თამარ დვალი.

ამასვე ადასტურებენ თავად ლისის სტუდქალაქის მაცხოვრებლებიც: „არ მახსენდება საკითხი, რომელიც მიმიტანია ადმინისტრაციამდე და იმავე დღეს თუ არა, მეორე დღეს მაინც არ მოგვარებულიყო. დავამატებ იმასაც, რომ მახსოვს ჩვენი ხელოსანი დაკავებული იყო. ბატონი ზაზა და ქალბატონი თამარი თავად ამოვიდნენ ოთახში დასახმარებლად. ძალიან ყურადღებიანი, თბილები და პასუხისმგებლიანები არიან“, – აღნიშნავს სტუდქალაქის მაცხოვრებელი მარიამ ლოთიშვილი.

სტუდქალაქის მაცხოვრებელი სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან საერთო საცხოვრებლის პირობებით, ამასთან ერთად, ხაზს უსვამენ თავიანთ დამოკიდებულებებს ერთმანეთისადმი და იმ ღირებულ ურთიერთობებს, რომლებიც სტუდქალაქში თანაცხოვრებისას შეიძინეს.

„სტუდქალაქის მაცხოვრებლებს გვაქვს ყველა ის პირობა, რაც საჭიროა სტუდენტური ცხოვრებისთვის. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ადგილი მიქმნის უსაფრთხოებისა და სიმშვიდის შეგრძნებას. სტუდქალაქის სივრცე შემოსაზღვრულია და დაცვა იცავს 24 საათის განმავლობაში. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ სტუდქალაქმა მასწავლა – როგორ შევუთავსო სწავლა და გართობა ერთმანეთს. თითქმის დღე არ გადის ისე, რომ არ შევიკრიბოთ სტუდენტები“, – გვითხრა ანა ზურაბაშვილმა.

„უამრავი მეგობარი შემმატა სტუდქალაქმა. როგორც ჩვენ, ასევე, ჩემი ოჯახის წევრები ვამბობთ, რომ ეს ჩვენი „მეორე ოჯახია“. არ ვიცი, ამდენი სხვადასხვა მისწრაფების, შეხედულების, სხვადასხვა კუთხის შვილი ერთად ასე როგორ შეგვყარა ამ ადგილმა, რომ დღე არ გავა ერთმანეთის კარზე არ დავაკაკუნოთ, საღამოს ერთად არ შევიკრიბოთ, ვისაუბროთ და ვითამაშოთ სამაგიდო ან თუნდაც ზეპირსიტყვიერი თამაშები. ადმინისტრაციის შენობა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, ყველამ ერთ სივრცეში მოვიყაროთ თავი. თითქმის ყველა ფეხბურთის თამაშზე ვიკრიბებით და ერთად ვგულშემატკივრობთ საყვარელ გუნდს, ასევე აქვე აღვნიშნავთ ჩვენს საყვარელ დღესასწაულებსაც, ახალი წელი იქნება ეს თუ რომელიმე ჩვენგანის დაბადების დღე“, – ამბობს მარიამ ლოთიშვილი.

„სტუდენტურ საცხოვრებელში უკვე სამი წელია ვცხოვრობ. მიუხედავად იმისა, რომ „საერთო გარემოში“ გვიწევს ცხოვრება, ეს არ აფერხებს ჩემი სწავლის ხარისხს, ვინაიდან ხმაურის შემთხვევაში სასწავლო ოთახებიც გვაქვს. ერთადერთ პრობლემურ საკითხად, ალბათ, არასაკმარისი პირადი სივრცის ქონას გამოვყოფდი, თუმცა ყველა სხვა ბენეფიტის გათვალისწინებით, სტუდქალაქში ცხოვრების ხარისხს 10 ბალიანი სისტემიდან რვით შევაფასებდი. თითოეულ ჩვენგანს მოგვეთხოვება, რომ პატივი ვცეთ ერთმანეთს, ვიყოთ მეტად დამთმობები და კომუნიკაბელურები“, – აღნიშნა ნუკი კალმახელიძემ.

ლისის სტუდქალაქში ცხოვრებისთვის რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრულად, ონლაინ რეჟიმში. სტუდენტებს ეგზავნებათ ტექსტური შეტყობინება ტელეფონის ნომერზე და რეგისტრაციის გავლა ხდება Uni.tsu.ge-ს საშუალებით. საერთო საცხოვრებლის ღირებულება სტუდენტზე შეადგენს არაუმეტეს 150 ლარს.

მანჩო ბალხამიშვილი,

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

ჩანართში - სტუდენტური ფურცელი - სტუდენტები „ბეჭდური მედია - პრაქტიკუმის“ კურსის ფარგლებში აქვეყნებენ სტატიებს ნინო კაკულიასა და მაია ტორაძის ხელმძღვანელობით

ერთწლიანი სასერტიფიკატო პროგრამა „DESK – გერმანია სამხრეთ კავკასიაში: ინსტიტუციები და განვითარება“ მიმდინარეობს

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი ერთწლიანი სასერტიფიკატო პროგრამა „DESK – გერმანია სამხრეთ კავკასიაში: ინსტიტუციები და განვითარება“ მიმდინარეობს. პროგრამა ინტერდისციპლინურია – სამართლის, ეკონომიკისა და პოლიტიკის მეცნიერებების კომბინირებას წარმოადგენს და თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან შედგება (გათვალისწინებულია ექვსკვირიანი სტაჟირება). სწავლება გერმანულ ენაზე ხორციელდება და სრულად ფინანსდება. აკადემიური გუნდი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტისა და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან შედგება. პროგრამა თსუ-ს სტუდენტებს ინგლისურენოვან საგნებსაც სთავაზობს. პროგრამის კურსდამთავრებული საუკეთესო 3 სტუდენტი სწავლას ერთი სემესტრის განმავლობაში ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში განაგრძობს.

DESK-ის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიურ და ინტერპერსონალურ გაცვლას გერმანიასა და საქართველოს შორის. პროგრამას ხელმძღვანელობს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტის პროფესორი თეოჰარის გრიგორიადისი.

DESK-ის პროგრამა მაღალი აკადემიური სტანდარტების დამკვიდრებისა და მოტივირებული სტუდენტების კვალიფიციური უნარების გაუმჯობესებას ემსახურება. პროგრამა ერთგვარი ექსკლუზიური შეთავაზებაა, რომელსაც ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) სტიპენდიის ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით საზღვარგარეთ ახორციელებს.

DESK-ის პროგრამის პარტნიორად საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნა შერჩეული. ვფიქრობ, ეს ახალი თანამშრომლობის დაწყების ათვლის წერტილია, ნაბიჯ-ნაბიჯ ვგეგმავთ თანამშრომლობის განვითარებას სამართლის და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბებისა და კვლევით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით“, – აცხადებს თეოჰარის-გრიგორიადისი.

„DESK-ის პროგრამა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თსუ-სა და ბერლინის

> **DESK-ის პროგრამაზე 2024/2025 სასწავლო წლისთვის განაცხადების მიღება 2024 წლის მაისში/ივნისში გამოცხადდება.**

თავისუფალ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობაში, ხელს უწყობს გერმანულ და ქართულ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთგაგებას, დაახლოებას, ორმხრივი ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის გაზრდას“, – განმარტავს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი გიორგი დგებუაძე – „ამჟამად, DESK-ის პროგრამაზე სწავლობენ თსუ-ს იურიდიული, საერთაშორისო ურთიერთობების, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტების სტუდენტები. სწავლების პროცესში საკმაოდ დადებით შეფასებებს ვიღებთ მათი მხრიდან. ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა სტუდენტებისთვის დაეუფლონ სათანადო ცოდნას, გაიუმჯობესონ ენის ცოდნის დონე იმისათვის, რომ შემდგომში გერმანულენოვან სამუშაო გარემოში ინტეგრირება ან/და გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელება გაუადვილდეთ“.

„ევროინტეგრაცია სწორედ ამას გულისხმობს – ევროპულ უნივერსიტეტებთან დაახლოებასა და ცოდნის ინტეგრირებას. ჩვენ გვინდა სამომავლოდ DESK-ის პროგრამაში არჩევითი სამართლის გერმანულენოვანი საგნები დავამატოთ, გავაძლიეროთ ერთობლივი კვლევითი კომპონენტი, რაც მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისთვის უფრო მყარ ფუნდამენტს შექმნის“, – აღნიშნავს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი პაატა ტურავა.

DESK-ის პროგრამაში მონაწილეობისთვის აპლიკანტები თსუ-ს ბაკალავრიატის ან სამაგისტრო პროგრამაზე უნდა ირიცხებოდნენ, გამოირჩეოდნენ მაღალი მოტივაციით, გერმანული ენის ცოდნითა და მაღალი აკადემიური მოსწრებით. უპირატესობა ბაკალავრიატის მეორე და მესამე კურსის, ასევე, მაგისტრატურის საფეხურის პირველი კურსის სტუდენტებს ენიჭებათ. პროგრამაში მონაწილეთა შერჩევა წერილობითი განაცხადისა და გასაუბრების საფუძველზე ხდება.

ელგუჯა ხინთიბიძის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტი და სიახლეები

შურთხია ბეროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული „ბალავარიანი“ და ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის ისტორია“. ეს ორწლიანი პროექტი, რომლის ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი, თსუ-ს პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. მასთან ერთად კვლევაში მონაწილეობდნენ: ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტის პროფესორი გაგა შურღაია, თსუ-ს პროფესორები – ირმა მაკარაძე და ქეთევან აბესაძე; თსუ-ს დოქტორანტები: თამარ მელიქიძე, ცირა ვარდოსანიძე და კოტე ლომიძე.

აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად მიმდინარეობდა ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტის ბაზაზე. გრანტის ფარგლებში განხორციელდა მივლინება ვენეციისა და ნეაპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში. პერიოდულად კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სამეცნიერო კონფერენციაზე დოქტორანტმა კოტე ლომიძემ დამსწრე საზოგადოებას პროექტის მუშაობის ანგარიში წარუდგინა. მისი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დამუშავდა პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. მუშაობა მიმდინარეობდა ქართული „ბალავარიანისა“ და ბერძული „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ ხელნაწერებსა და მათში გამოვლენილი რედაქციების ურთიერთმიმართებაზე. „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნულ ხელნაწერებში გამოვლენილი მოკლე და ვრცელი ვერსიის

ელგუჯა ხინთიბიძე

> **პროექტის ფარგლებში გამოვლინდა ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეები ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ შექმნაში ქართველ მწიგნობართა მოღვაწეობის მნიშვნელობაზე**

შეპირისპირებისა და ქართული „ბალავარიანის“ მოკლე და ვრცელ რედაქციებთან შედარების შედეგად შეიქმნა ელექტრონული მონოგრაფია, რომელშიც შესულია პროექტის ყველა მონაწილის გამოკვლევა. მომზადდა და განხორციელდა ქართული ვრცელი რედაქციის და ბერძნული, თავდაპირველ ვერსიად მიჩნეული ვენეციის წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკის ხელნაწერების სრული ტექსტების პარალელური და, ასევე, ქართული „ბალავარიანისა“ და ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის“ მსგავსი პასაჟების პარალელური ციფრული გამოცემები. პროექტის ფარგლებში

გამოვლინდა ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეები ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ შექმნაში ქართველ მწიგნობართა მოღვაწეობის მნიშვნელობაზე.

პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის თქმით, ამ მნიშვნელოვანი და დიდი მასშტაბის თემის საკვლევად ორი წელი დიდი დრო არ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუნდმა შეძლო მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარება. „ეს არის დიდ თემაზე შედარებით მცირე, ორწლიანი პროექტი, ამ ნაწარმოებს სპეციალისტები სამართლიანად უწოდებენ რომანსსაც... საკითხი ძალიან მასშტაბურია, მაგრამ დღეს ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია“, – აღნიშნა ელგუჯა ხინთიბიძემ.

კონფერენციას დაესწრო თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რომელმაც პროექტის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა: „ეს თემა ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ამ ნაწარმოების წარმოშობის საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან მომდინარეობს. უნდა ითქვას, საკითხის კვლევაში ქართულმა ქართველოლოგიურმა სკოლამ მართლაც თავისი გამორჩეული წვლილი შეიტანა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მიმართულებით ელგუჯა ხინთიბიძის დამსახურება, რომელიც დიდი ხანია მუშაობს ამ მიმართულებით. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, მათ შორის, უცხოელი მეცნიერების კვლევები, რომლებიც გამოირჩევა ქართული მასალის სიღრმისეული ცოდნით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულმა სამეცნიერო სკოლამ მსოფლიო ბიზანტინისტებთან ერთად ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი პრობლემა ფაქტობრივად გადაწყვიტა“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

კონფერენციაზე თავიანთი მოხსენებები წარმოადგინეს თსუ-ს პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა გიიომ დიუკერმა, ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტის პროფესორმა გაგა შურღაიამ, რომის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა სერჯო ბასომ, ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორმა კრისტიან ჰეგელმა, ჟურნალ „სკრინიუმის“ მთავარმა რედაქტორმა ბასილი ლურიემ, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა იოანის გროსმანმა, თსუ-ს პროფესორებმა: ლელა ხაჩიძემ, ნესტან სულავამ, ქეთი აბესაძემ, ია გრიგალაშვილმა და ირმა მაკარაძემ; თბილისის ტექნიკური უნივერიტეტის პროფესორმა ირაკლი შეყრილაძემ და თსუ-ს დოქტორანტმა კოტე ლომიძემ.

ნუგზარ თოდუას სტატია Scopus-ის ბაზაში შემავალ ბრიტანულ მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნდა

ნინო ჯაჯულია

Scopus-ის ბაზაში შემავალ ბრიტანულ მაღალრეიტინგულ ჟურნალში „Archives of Public Health“ გამოქვეყნდა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ნუგზარ თოდუას სტატია – „The Evolving Role of Social Media in Enhancing Quality of Life: A Global Perspective Across 10 Countries“ („სოციალური მედიის განმავითარებელი როლი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში: გლობალური პერსპექტივა 10 ქვეყნის მიხედვით“). მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 10 ქვეყნის (ავსტრია, ბანგლადეში, ერაყი, თურქეთი, ირანი, მალაიზია, მიანმარი, ნიგერია, საქართველო, ფილიპინები) 44-მა პროფესორმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი კოლაბორაციული და მასშტაბური კვლევა ქართულ მარკეტინგულ რეალობაში ჯერ არ ჩატარებულა.

გვესაუბრება პროფესორი ნუგზარ თოდუა

„კვლევის მიზანი იყო – დაგვედგინა სოციალური მედიის აღქმული მოთხოვნილებების გავლენა ზრდასრული მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. ესაა პირველი კვლევა, რომელშიც გამოიყენება კროსკულტურული მიდგომები პოსტპანდემიურ პერიოდში სოციალური მედიის მოხმარებასა და ცხოვრების ხარისხს შორის კავშირის დასადგენად. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანთა ცხოვრების წესში რევოლუცია მოახდინა. შესაბამისად, სოციალური მედია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. დღეისათვის იშვიათია ადამიანი, რომელსაც ინტერნეტში წვდომა ჰქონდეს და სოციალური მედიით არ სარგებლობდეს. ამასთან, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელებისათვის ეყრდნობა სოციალურ მედიას, რომელიც მის ქცევას საგრძნობლად ცვლის. გაჩნდა სოციალური ურთიერთობების ახალი პარადიგმა, რომელსაც ადამიანთა ცხოვრებაზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა აქვს.

კვლევაში ილუსტრირებულია, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსხვავებების მიუხედავად, სოციალურ მედიასთან მიმართებით, საერთო ნიშან-თვისებები აქვთ, რაც გლობალური მომხმარებლის პორტრეტის შექმნაში ვლინდება. კერძოდ, გლობალური მომხმარებლებისათვის დამახასიათებელ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობით კმაყოფილების დაბალი დონის მიუხედავად, მათი ცხოვრების ხარისხი სოციალურ ურთიერთობებთან მიმართებით მაღალია. ამასთან, განათლება გამოდის, როგორც ფსიქოლოგიური ჯანდაცვის საშუალება. კვლევიდან გამომდინარე, ნაკლებად განათლებულ ადამიანებს უჭირთ ფსიქოლოგიურ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავება და იმის გაგება, თუ რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა ცხოვრების დაბალი ხარისხის პრობლემები გადაჭრან. რაც შეეხება ასაკს, ცხოვრების ხარისხზე სოციალური მედიის გავლენა ყველაზე უფრო საგრძნობია მილენიანელებისათვის, რომლებიც ამ თვალსაზრისით მეტ პასუხისმგებლობას ავლენენ. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ცხოვრების ხარისხზე სოციალური მედიის ზემოქმედება უფრო საგრძნობია ახალგაზრდა მამაკაცებში, ვიდრე ქალებში, ხოლო ასაკოვან მომხმარებლებში პირიქითაა.

სტატისტიკური ანალიზით დგინდება, რომ ცხოვრების ხარისხის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მახასიათებლებზე სოციალური მედიის გავლენა მნიშვნელოვანია მაშინ, როცა იგი გლობალური მომხმარებლების მიერ გართობის ან მოწყენილობის შემსუბუქებისათვის გამოიყენება.

კვლევამ წარმოაჩინა პრობლემები, რომლებიც გლობალური მომხმარებლების მიერ სოციალური მედიის გამოყენების გამო ცხოვრების მჯდომარე წესის ფართოდ გავრცელებას უკავშირდება, რაც ახალგაზრდა თაობაში განსაკუთრებით მწვავეა. ასეთი გლობალური პრობლემების გადაჭრაში კი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ცალკეული ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკას, რომელმაც სოციალური მედიის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და ეფექტიანი კომუნიკაციები სახელისუფლებო ორგანოებსა და საზოგადოებას შორის.

10 ქვეყნის 7 ათასამდე რესპონდენტის გამოკითხვით მიღებულია შედეგები, რომლებშიც ასახულია ცხოვრების ხარისხის აღქმის გლობალური ასპექტები.

საკორპორაციო სამართლის კრებულის მეოთხე ნომერი გამოიცა

ნატო ობოლაძე

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტმა საკორპორაციო სამართლის კრებულის მეოთხე ნომერი გამოსცა. კრებულში მიმოხილულია ეროვნული და, ასევე, საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ქართული კომპანიების ტრანსნაციონალურ კორპორაცია Google-თან ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში წამოჭრილი სამართლებრივი შესაბამისობის ნაწილი. კონკრეტულად ახალი კვლევები საკორპორაციო სამართალში ეხება „ორგანიზაციული მართვისა და კონკურენციის შესაბამისობას საკორპორაციო სამართალში“ (ნანა თურმანიძე), „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენას მომხმარებელთა უფლებებზე“ (ანა უგულავა), „ხელმძღვანელ პირთა კერძოსამართლებრივ პასუხისმგებლობის ფარგლებს კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში“ (ვახტანგ ნოღაიდელი), „დივიდენდის განაწილებას სამეწარმეო საზოგადოებაში შპს-სა და სს-ის მაგალითზე“ (გიორგი თორდუა). ავტორები პრაქტიკოსი და მკვლევარი იურისტები არიან. თითოეული თემატიკა კორპორაციული მართვის სისტემურ ჭრილშია გაანალიზებული. კრებული პროფესორ ირაკლი ბურდულისა და ასოცირებული პროფესორის გიორგი მახარობლიშვილის რედაქტორობით გამოიცა. პრეზენტაცია-განხილვა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე გაიმართა.

„ამ ეტაპზე კრებულის მეხუთე ნომერზე მიმდინარეობს მუშაობა. ეკონომიკური სამართლის დარგში დარგობრივი სამეცნიერო კრებულების გამოცემის უწყვეტობა აუცილებელია, რადგან წმინდა საკორპორაციო-სამართლებრივ თანამედროვე აქტუალურ საკითხებს აერთიანებს. აღნიშნული პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ კვლევას ჩვენი წარმატებული მკვლევარი და პრაქტიკოსი იურისტები ახორციელებენ. ჩვენს მიზანია ახალგაზრდა თაობისა და უფროსი თაობის პროფესორების კოლაბორაციის მაქსიმალური ხელშეწყობა-განვითარება, რაც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საავიზიტო ბარათს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საკორპორაციო სამართლის კრებულის გამოცემა ჩემი მოწაფის დემეტრე ეგნატაშვილის აქტიური ჩართულობით დაიწყო, უკვე მეოთხე ნომრის თანარედაქტორი ასევე ჩემი მოწაფე, ასოცირებული პროფესორი გიორგი მახარობლიშვილია“, – აღნიშნა პროფესორმა ირაკლი ბურდულმა.

საკორპორაციო სამართლის IV ნომრის პრეზენტაციიდან რამდენიმე თვეში დაგეგმილია მრგვალი მაგიდის ფორმატში კრებულში წარმოდგენილი ნაშრომების შესახებ დისკუსია-ანალიზი.

საკორპორაციო სამართლის ახალი ნომერი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკასა და წიგნების მაღაზია „ლატერნაშია“ ხელმისაწვდომი.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარის პრეზენტაცია

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორთა ჯგუფის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი გამოიცა. ნაშრომი პროფესორ ნონა თოდუას, პროფესორ მერაბ ტურავასა და პროფესორ მაია ივანიძის სამეცნიერო რედაქტორობითა და თანაავტორობით შეიქმნა. ავტორთა ჯგუფს ასევე შეადგენენ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი: ლალი ფაფიაშვილი, ლევან ხარანაული, თემურ ცქიტიშვილი, ირინე ხერხეულიძე, ირაკლი დვალიძე, ირინა აქუბარდია და მორის შალიკაშვილი. გამოცემა ორი ტომისგან შედგება.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი გერმანული საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) საგრანტო პროექტის ფარგლებში დაფინანსდა. პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი გერმანიის თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბერნ ჰაინრიხი გახლდათ.

„ბატონი ჰაინრიხის რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იყო ორტომეულის მომზადების პროცესში არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ ტექნიკური თვალსაზრისითაც. ახალ გამოცემაში მოცემულია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დოგმატური საკითხები და წმინდა მეცნიერული ანალიზი, მიმოხილულია სასამართლო პრაქტიკა, თითოეულ მუხლთან დაკავშირებით გაცემულია საკანონმდებლო რეკომენდაცია. შესაბამისად, გამოცემის დანიშნულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო პროცესით, იგი მნიშვნელოვანია პრაქტიკოსი იურისტებისთვის. სემესტრის ბოლოს დაგეგმილი გვაქვს ნაშრომში წარმოდგენილი აქტუალური საკითხების შესახებ სადისკუსიო შეხვედრის მოწყობა, სადაც იურიდიული საზოგადოების უკუკავშირს მოვისმენთ/განვიხილავთ“, – განმარტა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარის პრეზენტაციაზე პროფესორმა ნონა თოდუამ.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარის ორტომეულის პრეზენტაცია 6 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიებას გერმანული საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების, გენერალური პროკურატურის, ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა ახალი გამოცემის მნიშვნელობა შეაფასეს.

„სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი ხელს შეუწყობს საქართველოს სისხლის სამართლის ნორმების სწორ განმარტებას“, – აღნიშნა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა თუ დაინტერესებული მკითხველისთვის თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამკითხველოში და თსუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში იქნება ხელმისაწვდომი.

თსუ-ში სამეცნიერო კონფერენციით სოციალური მუშაკი მაია მგელიაშვილი გაიხსენეს

მაია ტორაძე

„ცვლილებები ბავშვთა და ოჯახთა საკეთილდღეოდ“ – ამ სახელწოდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სოციალური მუშაობის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მაია მგელიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. კონფერენციის ინიციატორი გახლდათ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია World Vision საქართველოსთან, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად.

„სიმბოლურია, რომ მაია მგელიაშვილის სახელობის კონფერენციით ჩვენ ვეხმიანებით სოციალურ მუშაკთა მსოფლიო დღეს, რომელიც წელს 19 მარტს აღინიშნება. ამ დღის მიზანია, გაიზარდოს საზოგადოებაში სოციალური მუშაკებისა და მათი წვლილის შესახებ ცნობადობა. ეს კონფერენცია ეძღვნება მაია მგელიაშვილს, როგორც ერთ-ერთ პირველ კვალიფიციურ სოციალურ მუშაკს, რომელიც დაუღალავად შრომობდა სოციალური მუშაობის პროფესიის დანერგვისა და განვითარებისთვის ბავშვების, მოზარდებისა და მათი ოჯახების საკეთილდღეოდ. სოციალურ მუშაკთა მსოფლიო დღის 2024 წლის თემაა – საერთო მომავალი ტრანსფორმაციული ცვლილებებისთვის (Shared future for transformative change). ამ თემას ჩვენ, ქართველი სოციალური მუშაკები, მაიას სიტყვებით ვუერთდებით: „მე სოციალური მუშაკი ვარ... მე ვცვლი, მე ვაძლიერებ, მე მჯერა!“, – ითქვა კონფერენციის გახსნაზე.

„ამგვარი შეხვედრები პროფესიის უმნიშვნელოვანეს როლზე, მისი განვითარების მიღწევებსა და გამოწვევებზე მსჯელობის პლატფორმას ქმნის. სოციალური მუშაობის, როგორც ახალბედა დარგის, განვითარებისთვის საქართველოში მნიშვნელოვანია პრაქტიკოსთა და მეცნიერთა ერთობლივ სივრცეში მუშაობა“, – აღნიშნა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელმა და გამგეობის წევრმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა სალომე ნამიჭეიშვილმა.

კონფერენციაზე გაიხსენეს და მიმოიხილეს მაია მგელიაშვილის მოღვაწეობა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის მხარდაჭერა World Vision საქართველოსთან ერთად, მოისმინეს მაიას შვილის მარიამ ყარმაზანაშვილის გამოსვლა, რომელიც მისი თვალით დანახულ დედის საქმიანობას ეძღვნებოდა.

კონფერენციის პირველი სესიის თემა იყო „მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები სოციალური მუშაობის გასაგითარებლად ბავშვებისა და ოჯახებისთვის“. წარმოდგენილი იყო მოხსენებები: „სოციალური მუშაობის პრაქტიკა ბავშვებისა და ოჯახების მომსახურებებში“ (კან იიპ, ჰონგ-კონგის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ჩინეთი); „ხელოვნების თერაპია ბავშვებისთვის სტრესულ სიტუაციებში“ (მონიკა ვიგერი, გამოყენებით მეცნიერებათა კათოლიკური უნივერსიტეტი, ფრაებურგი, გერმანია); „ბავშვთა კეთილდღეობა უკრაინაში“ (კატერინა იჰნატენკო, ასოცირებული პროფესორი, ლუგანსკის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); „ბავშვებისა და ოჯახების სისტემების გაძლიერება საქართველოში“ (ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აბსტრაქტის ავტორები: სალომე ნამიჭეიშვილი, ნინო შატბერაშვილი, ნათია ფარცხალაძე, შორენა საძაგლიშვილი, ია შეყრილაძე); მეორე სესია მიეძღვნა ახალბედა სოციალური მუშაკების პერსპექტივებს სოციალური მუშაობისა და ბავშვთა კეთილდღეობის შესახებ. კონფერენციაში მონაწილე ახალბედა სოციალურ მუშაკებს სერტიფიკატები გადაეცათ. დასკვნით ნაწილზე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „უნივერსიტეტის“ მიერ რამდენიმე ხალხური სიმღერა შესრულდა.

მაია მგელიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელსაც საფუძველი 2023 წლის 14 ივლისს ჩაეყარა, ყოველწლიურად გაიმართება.

ქრისტეფორე ჯაყელის გახსენება

ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ქრისტეფორე ჯაყელი დაიბადა 1917 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი (გურიის მხარის) ოზურგეთის (იმდროინდელი მახარაძის რაიონის) მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში. სოფელი შრომა კი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც, ცნობილი და აღიარებული იყო აქ მცხოვრები ადამიანების დიდი შრომისმოყვარეობითა და ენთუზიაზმით, მათ შორის გამორჩეული იყო ბატონი ქრისტეფორეს ოჯახიც, სწორედ ამ ოჯახიდან შეიძინა შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის და ადამიანებთან ურთიერთობის ყველა ის თვისება, რითაც ასე გამოირჩეოდა ბატონი ქრისტეფორე.

ბატონმა ქრისტეფორემ 1934 წელს დაამთავრა ბათუმის რკინიგზის სატრანსპორტო-სამშენებლო სასწავლებელი, 1934-1936 წლებში მუშაობდა ურეკის მეურნეობაში ტექნიკოს-მშენებლად, 1940 წელს კი დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლაში, პედაგოგად. შემდეგ მან სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით, რისი შეწყვეტაც მოუწია მსოფლიო ომში მონაწილეობის გამო 1940-1945 წლებში. ომიდან დაბრუნების შემდეგ მან გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა თსუ-ში და 1949 წელს გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ ბ. დობრინინის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „მდ. სუფსისა და მდ. ნატანების ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება“. 1950-1954 მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1954 წლიდან – კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს მოღვაწეობას და კითხულობს ლექციებს მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიაში. 1974-1987 წლებში იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა ფიზიკური გეოგრაფიის კათედრას კათედრის გამგის სტატუსით.

ბატონი ქრისტეფორეს სამეცნიერო ინტერესები ფიზიკური გეოგრაფიისა და ლანდშაფტმცოდნეობის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. იგი გახლავთ 170-მდე, ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და საენციკლოპედიო ნაშრომების ავტორი. თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ლანდშაფტების კომპლექსური თავისებურებების შესწავლას, ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემებს. ასევე, გამორჩეული და მნიშვნელოვანია მისი კვლევები საქართველოს მთიანი რეგიონების ფიზიკურ-გეოგრაფიული კარტოგრაფირებისა და დარაიონების შესახებ.

ბატონი ქრისტეფორეს თანაავტორობითაა (პროფ. დავით უკლება, დოც. მელეტი სანებლიძე) შედგენილი საქართველოს ორი ლანდშაფტური რუკა (1964-1970). პირველი მათგანი განთავსებულია საქართველოს გეოგრაფიულ ატლასში (1964), მეორე კი გამოცემულია რუკის სახით, რომელზეც დატანილია საქართველოს ბარისა და მთის კლასის ლანდშაფტები და აქვე (ჩანართის სახით) თანდართულია ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების სქემა.

ბატონი ქრისტეფორე რამდენიმე წიგნის ავტორიცაა: მისი თანაავტორობით 1985 წელს გამოიცა „გეოგრაფია აბიტურიენტებისათვის“ (ერთ-ერთი პირველი), რასაც მოჰყვა შემდგომ წლებში (1990-1991) მისივე თანაავტორობით ანალოგიური დამხმარე სახელმძღვანელოები. ცალკე აღნიშვნის ღირსია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო – „ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ბუნების დაცვა“, რომელიც მან შვილთან, ოთარ ჯაყელთან ერთად გამოაქვეყნა 1977 წელს. დასახელებული სახელმძღვანელო მსგავსი თემატიკით კათედრის ისტორიაში პირველად იქნა გამოქვეყნებული და საგნად ქცეული, რომელიც დღემდე აქტუალურია და წარმატებით ეკითხებათ გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს.

პროფ. ქრისტეფორე ჯაყელი გახლდათ მეტად აქტიური და ენერგიული პიროვნება, მისი უშუალო ძალისხმევითა და მონდომებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში, ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე 4 წლის განმავლობაში მუშავდებოდა სახელშეკრულებო თემა – „დასავლეთ საქართველოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური ანალიზი“, რომელიც მოიცავდა აფხაზეთის, აჭარის, გურიისა და სხვა რაიონებს.

ბატონი ქრისტეფორეს ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომი, იგი იყო დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს (ხარისხის მიმნიჭებელი) წევრი. მას ასევე ჰქონდა აქტიური კომუნიკაცია და სამეცნიერო კავშირები მოსკოვის, ბაქოს, ერევნის და სხვ. უნივერსიტეტების შესაბამისი კათედრების პროფესორ-მასწავლებლებთან. ის ხშირად იყო აქტიური მონაწილე სხვადასხვა დონის კონფერენციებისა და სიმპოზიუმებისა.

სტუდენტთა სწავლებისა და მათი მაღალკვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ქრისტეფორე ჯაყელს მინიჭებული აქვს (1984) უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ბატონ ქრისტეფორეს ჰყავდა სანიმუშო ოჯახი: მეუღლე – ქეთევან ქოჩლაძე გახლდათ თსუ-ს კარტოგრაფიის კათედრის მასწავლებელი, ვაჟიშვილი – ოთარ ჯაყელი (აწ გარდაცვლილი) აგრძელებდა მამის ტრადიციას და იყო თსუ-ს მეცნიერ-

თანამშრომელი, თუმცა მისი ბუნებრივი ნიჭი უფრო წარმატებით, შესაძლებელი იყო ხელოვნების (ჭედური ხელოვნება და ხეზე კვეთა) მიმართულებითაც გაგრძელებულიყო ... ქალიშვილი – ნუნუ ჯაყელი მორფოლოგიის ინსტიტუტის წარმატებული მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ.

ბატონი ქრისტეფორე იყო არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა, უფროსი კოლეგა და სტუდენტების საყვარელი ლექტორი. ამაგდარი პროფესორის ღვაწლი თვალსაჩინოა და მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი აღზრდილებისა და ღვაწლის დამფასებელთა შორის.

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გეოგრაფიის
დეპარტამენტი,
ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის
(ყოფილი ფიზიკური
გეოგრაფიის) კათედრა.

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

თსუ-ს საკალათბურთო გუნდმა უკვე მეორედ საქართველოს თასი მოიპოვა

თსუ-ს საკალათბურთო გუნდმა ფინალში გორის „ივერიონი“ 92:81 დაამარცხა და ზედიზედ მეორედ საქართველოს თასი მოიპოვა!

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ტიტულის მოგება გუნდთან ერთად თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ იზეიმა.

შარშან თსუ-ს კალათბურთელებმა სეზონის ორივე უმაღლესი ტიტული — საქართველოს თასი და სუპერლიგა მოიგეს და FIBA-ს უმაღლესი რანგის ევროტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებმა საქართველოს თასი უნივერსიტეტში მოიტანეს, სადაც ჩემპიონებს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორები, გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ მადლობა გადაუხადა საკალათბურთო კლუბის „თსუ“-ს მოთამაშეებს, სამწვრთნელო შტაბს, მენეჯმენტის წარმომადგენლებს. „კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ სიხარულის მონიჭებისთვის. თქვენ ისტორია დაწერეთ. როდესაც მომავალი თაობები უნივერსიტეტის ისტორიას წაიკითხავენ, იქ აუცილებლად, ოქროს ასოებით იქნება დაწერილი თქვენი წარმატების შესახებ. საქართველოს თასის ზედიზედ ორჯერ მოპოვება ქართულ საკალათბურთო ისტორიაში ნამდვილად იშვიათია. იმედია, ევროტურნირებშიც მივიღებთ მონაწილეობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად დაგიჭერთ მხარს“, — განუცხადა ჯაბა სამუშიამ კალათბურთელებს.

> **„როდესაც მომავალი თაობები უნივერსიტეტის ისტორიას წაიკითხავენ, იქ აუცილებლად, ოქროს ასოებით იქნება დაწერილი თქვენი წარმატების შესახებ. საქართველოს თასის ზედიზედ ორჯერ მოპოვება ქართულ საკალათბურთო ისტორიაში ნამდვილად იშვიათია.“**

„სასიხარულოა, რომ ამდენი გულშემატკივარი გვყავს უნივერსიტეტში. ჩვენ ვხედავთ და ვამჩნევთ მხარდაჭერას უნივერსიტეტისგან და იმ წვლილს, რომელიც კალათბურთის, ზოგადად, სპორტის განვითარებაში შეაქვს თსუ-ს. ჩვენ, კალათბურთელები, მოედანზე ვცდილობთ ამ მხარდაჭერის გამართლებას. ბიჭების სახელით მადლობას გიხდით ამ დაფასებისთვის, ვეცდებით, კიდევ უფრო მეტი სიხარული მოვუტანოთ ჩვენს გულშემატკივრებს. არ დავზოგავთ თავს იმ შედეგის გასამეორებლად, რაც გასულ წელს გვქონდა“, — განაცხადა საქართველოს თასის ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ, თსუ-ს კალათბურთელმა კახა ჯინჭარაძემ.

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
ირმა სულიაშვილი

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტები
თორნიკე ჩხეტიანი
ნინო ელიოსიძე
კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედკოლეგიის წევრები:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
თინათინ ბოლქვაძე,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
577 52 77 73

ვებგვერდი:
tsu.media

ელ.ფოსტა:
nino.kakulia@tsu.ge

tsu.media

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ ბეჭდური სახით გამოიცემა.

ეწვიეთ ყოველდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს
tsu.media

მოგვაწოდეთ ინფორმაცია გასაშუქებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს